# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 14 მარტი 2002 №43 (1565) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თურქებს რომონი დაერია

რეალი, ბაიერნი და მანჩესტერი მეოთხედფინალში გავიდნენ, გალათასარაი „სტადიო ოლიმპიკოდან" ცემა-ცემით გააგდეს



REUTERS

რომა — გალათასარაის დასრულების მერე კარაბინიერთაგან ნაცემ თურქებს გასახდელში შესვლის თავიც აღარ ჰქონდათ



## მომავალმა ისეთი შემოლაწუნება იცის...

მოდური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომა ტოლერანტიზმის ატმოსფეროში ჩატარდა. გაირჩა ქუთაისის სტადიონზე მომხდარი ჩხუბი, რომელშიც ადგილობრივი „ტორპედოს" ვითომ ფანებმა არცთუ პოლიციის დაუხმარებლად თბილისის დინამოელი კოლეგები სცემეს და ავტობუსი დაუმტვრიეს, რითაც მეტად სამწუხარო პრეცედენტი შეიქმნა. საჭირო იყო მკაცრი გადაწყვეტილება, ნაცვლად კი სრული გულგრილობა მივიღეთ. დისციპლინარებმა „ტორპედო" ერთმატჩიანი კუთხეში დგომით დასაჯეს და კიდევ 500 (!) ლარით. და რა იყო მატჩის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელთა და „ტორპედოს" მესვეურთა არგუმენტები? ჩვენში ფანობის ახალი ტალღა აგორდა და მსგავსი სიტუაციების მართვის გამოცდილება ჯერ არ არსებობსო. გაგვაგებინეთ ერთი, ამნაირი რა გამოცდილება სჭირდება საქართველოს პოლიციას, რომელიც ყოველდღე უშუქოთა, უხელფასოთა და ექსპრეზიდენტის მომხრეთა ხალხმრავალ მღელვარებას უყურებს და თუ საჭიროა, არამარტო რეზინის ხელკეტებს დიდი წარმატებით ხმარობს? ბლეფია ეს ამბავი: ქუთაისში არეულობის აღკვეთას ხუთიოდე კაცის დაკავება ეყოფოდა და ეს ვერ კი არა, არ გაკეთდა.

ხოლო სადისციპლინო კომიტეტმა გუშინ შანსი დაკარგა. შანსი იმისა, რომ დროულად შემოელაწუნებინა მათთვის, ვისაც ჯერ არს და ღმერთმა ნუ ქნას, რომ არგენტინული ქრონიკები ქართულ ფეხბურთშიც რეალობად იქცეს, იქ ხომ ტურები ხშირად გვამებითაც სრულდება. აი, ერთი არგუმენტიც ჩვენი შფოთვის გასამართლებლად: „დინამოს" მესვეურთა ზომიერი განცხადებების მიუხედავად, რა გამორიცხულია, რომ თბილისელი ფანები „ტორპედოს" მომავალი სადედაქალაქო ვიზიტისთვის ქვებს (და სხვა რამეებსაც) არ იმარაგებენ.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

## ნიკოლოზ დერიუგინი დიდ ისტორიაში გაეხვა

## დღეიდან:

### ქართულ კალათბურთში ეს არ მომხდარა: მამა-შვილი, ნიკოლოზ და ნიკა დერიუგინები თანაგუნდელები იქნებიან

## ზაფხულში კი...

საბონისი, კურტინაიტისი, მარჩულიონისი, მიგლინიეკსი, ვალტერსი, სოოკი, იოვაიშა, ვოლკოვი, სალნიკოვი, ბელოსტენი, ტკაჩენკო, ტარაკანოვი, მიშკინი, ბირიუკოვი და თვით ალექსანდრ გომელსკი მსოფლიოს ერთადერთ ჩვენებურ ჩემპიონს კალათბურთიდან გააცილებენ



ინტერვიუ ნიკოლოზ დერიუგინთან იხილეთ მეცამეტე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა
## მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური

### A ჯგუფი

**მანჩესტერი 0:0 ბაიერნი**

მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი, იონსენი, სილვესტრი, კინი, ბექჰემი, გიგზი, ვერონი, ვან ნისტელროი, სოლსკიაერი (ფორლანი 78)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ბაიერნი: კანი, რ. კოვაჩი, კუფური, ლინკე, ლიზარაზუ, ჰარგრივზი, იერემიესი (ფინკი 73), ეფენბერგი, სერჯიო (ელბერი 82), პიზარო, სანტა კრუზი (ციკლერი 77)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ბლანი, ვან ნისტელროი
მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)
66 818 მაყურებელი

**ნანტი 1:1 ბოავიშტა**

1:0 მოლდოვანი (43), 1:1 მარტელინიუ (78)
ნანტი: ლანდრო, სეტო, იეპესი, ჟილე, ატება, და როშა, ჯემბა, სავინო (ლასპალი 53), კეინტი (დევინო 61), მოლდოვანი (ვაირუა 46), ანდრე
მწვრთნელი: ანხელ მარკოსი
ბოავიშტა: რიკარდუ, რუი ოსკარი, პაულუ ტურა (მარტელინიუ 46), პედრუ ემანუელი, ე. ლიმა, პეტი, ჟორჟე სილვა, დუდა, პედრუ სანტუში (სანჩესი 46), რუი ლიმა, ალექსანდრე (მარსიუ სანტუში 64)
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
გაფრთხილება: ლიმა, პედრუ სანტუში, ჟილე, ჯემბა
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)
28 554 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 5 | 2 | 3 | 0 | 10:3 | 9 |
| ბაიერნი | 5 | 2 | 3 | 0 | 3:1 | 9 |
| ბოავიშტა | 5 | 1 | 2 | 2 | 2:5 | 5 |
| ნანტი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | 2 |

„მანჩესტერი" და „ბაიერნი" გავიდნენ მეოთხედფინალში

### B ჯგუფი

**ბარსელონა 0:0 ლივერპული**

ბარსელონა: ბონანო, პუიოლი, დე ბური, კრისტანვალი, კოკო, კოკუ, მოტა, ლუის ენრიკე (ხერარდი 77), სავიოლა (ჯეოვანი 87), რივალდო, კლუივერტი
მწვრთნელი: კარლეს რექსაჩი
ლივერპული: დუდეკი, ანშო, ზავიერი, ჰიუპია, კარაგერი, მერფი, ჯერარდი (ბარმბი 80), ჰამანი, რიისე, ჰესკი (ბაროში 75), ლიტმანენი (სმიცერი 70)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: მერფი, ჯერარდი, ჰამანი, კოკუ
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
90 000 მაყურებელი

**რომა 1:1 გალათასარაი**

0:1 უმით კარანი (44), 1:1 კაფუ (52)
რომა: ანტონიოლი, პანუჩი, სამუელი, ძებინა (ალდაირი 46), კაფუ, კანდელა, ფ. ლიმა, ემერსონი, ტოტი, მონტელა (ბატისტუტა 56), დელვეკიო (ასუნსაო 81)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გალათასარაი: მონდრაგონი, ბიულენტ ქორქმაზი, ემრე ასიქი, პერესი (კაპონე 82), ვიქტორია, ფლურკინი, აიჰანი, ერგიუნი, გიოქთანი, ჰასან შაში, უმით კარანი (ნიკულესკუ 87)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილება: მონტელა, ჰასან შაში, კაფუ, პერესი, ალდაირი
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
58 630 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 5 | 1 | 4 | 0 | 6:3 | 7 |
| ბარსელონა | 5 | 1 | 3 | 1 | 6:7 | 6 |
| გალათასარაი | 5 | 0 | 5 | 0 | 5:5 | 5 |
| ლივერპული | 5 | 0 | 4 | 1 | 2:4 | 4 |


REUTERS ბარსელონიდან
ბარსელონა — ლივერპული. ფრანკ დე ბური ბურთს მკერდით გადაეღობა


REUTERS მანჩესტერიდან
მანჩესტერი — ბაიერნი. პაულო სერჯიო (№13) ბურთს ვერა და გარი ნევილის ფეხს კი მისწვდა


REUTERS რომიდან
რომა — გალათასარაი. ბიულენთ ქორქმაზმა რომაელი კაფუ ბურთს არ გააკარა


REUTERS ლონდონიდან
ჩელსი — ტოტენჰემი. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა (ბურთით) „ტოტენჰემი" ჰეთ თრიქით „დაასაჩუქრა"

### ინგლისი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩები
ბლექბერნი 2:1 იფსვიჩი
ჩელსი 4:0 ტოტენჰემი

### ჰოლანდია
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები
ნაიმეგენი 3:1 გრაფსხაპი
ჰერენვენი 3:1 სიტარდი

### დანია
სუპერლიგა
გადადებული მატჩი
სილკებორგი 0:0 ესბიერგი

### ჩეხეთი
თასის 1/8 ფინალი
პრჟიბრამი 2:0 ბრნო
სიგმა 0:0 (პენ. 2:3) ბანიკი
მოსტი (II) 2:0 დრნოვიცე
მლადა (II) 1:0 ჟიჟკოვი

### ამხანაგური მატჩი
ტუნისი 0:0 კორეა

### იტალია
სერია A. გადადებული მატჩი
პარმა 0:0 კიევო

### ბელგია
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
გენკი 1:1 ანდერლეხტი

### შოტლანდია
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
დანდი 2:0 ლივინგსტონი

### საბერძნეთი
თასის 1/2 ფინალი
პირველი მატჩები
ქსანთი 0:0 აეკ
ოლიმპიაკოსი 3:2 ირაკლისი

### რუსეთი
პრემიერლიგა. II ტური
ზენიტი 1:0 როტორი
ტორპედო ზილ 2:1 ტორპედო
სოკოლი 0:1 ცსკა
დინამო 2:0 ანჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური. C ჯგუფი

# ქულათმრიცხველი სამეფო კარზე

## პორტუს გასვლა სხვაზე ჰკიდია



პორტუ — პანათინაიკოსი. ბერძენი ანგელოს ბასინასი კარლოს პარედესმა (მარჯვნივ) და დეკო სოუზამ ალყაში მოიქციეს

**პორტუ 2:1 პანათინაიკოსი**

1:0 დეკო სოუზა (12), 2:0 პენა (54), 2:1 კოლკა (65)
პორტუ: პაულუ სანტუში, სეკრეტარიუ, რიკარდუ სილვა, ანდრადე, სოდერსტრომი, პარედესი, კოშტინია, დეკო სოუზა (მოსტოვი 89), ნუნუ კაპუშუ, პენა (პაულინიო 83), კლეიტონი (კანდიდუ კოშტა 67)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, მენდოსინო, ფოკოლისი (ვლაოვიჩი 70), კირიაკოსი, ფისასი, სარიჩი, ბასინასი, კარაგუნისი, იარნი (კოლკა 30), კონსტანტინუ (ოლისადებე 30), ლიბეროპულოსი
მწვრთნელი: სერხიო მარქარიანი
გაფრთხილება: სოდერსტრომი, ბასინასი, კირიაკოსი, კოლკა
გაძევება: სეკრეტარიუ (78)
მსაჯი: ლუბომირ მიხელი (სლოვაკეთი)
6 000 მაყურებელი

**ჟოზე მაურინიუ** მეორე ჯგუფურ ეტაპზე პირველ გამარჯვებას ელირსა. „პორტუს" ბოლოდროინდელი შედეგებით გაწბილებულ ქომაგთა შორის 6 000-მდე კაცმა მაინც გამოიჩინა ერთგულება და თამაშს დაესწრო. პორტუში წვიმდა, თან გემრიელადაც. ამ თავსხმაში ჩვენს საქომაგოდ ხალხი მოსულა და ეგებ ერთხელ ჯიგრიანად ვიბურთაოთო — მასპინძლებმა უმალ საგოლედ იწყეს ფიქრი. ბერძენთა კარის გახსნების ძიება მაურინიუს ბიჭებს დიდხანს არ დასჭირვებიათ. თორმეტიოდ წუთში ნიკოპოლიდისის კარს ყადაღა ახსნეს. სეკრეტარიუმ ნუნუ კაპუშუს საჯარიმოში ავანსად ჩაუგდო ბურთი, კაპუშუმ კი გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლო ოდნავ უკან პასის გაკეთება. იქ უკვე დეკო სოუზამ შეუჩერებლივ დაჰკრა და ნიკოპოლიდისი ვერც მიხვდა, როგორ მოხვდა ბურთი მის კარში.

ბერძნებმა ის იყო, თამაშის დალაგება გადაწყვიტეს, ორი მთავარი კაცი მოულოდნელად შესაცვლელი შეექნათ. ბურთისთვის მებრძოლი კონსტანტინუ და იარნი უნებლიედ ერთმანეთს შეასკდნენ. სერხიო მარქარიანმა იძულებით შეცვლები მოახდინა. დამტვრეულ-დარეტიანებულთა ნაცვლად ოლისადებე და კოლკა შეუშვა და სანამ ესენი თამაშში ჩაეწერნენ, პირველი ნახევარიც მიილია.

განახლებისთანავე დამხვდურნი მყის მეტოქის საჯარიმოს გაუშინაურდნენ. შეტევის მარჯვენა ფლანგზე ნუნუ კაპუშუ სტუმართა მცველებს აეკვიატა და მანამდე არ მოისვენა, სანამ პენას მეორეც არ გაატანინა. ფაქტობრივად, კაპუშუმ ღია ალაყაფის წინ მიართვა პენას ბურთი და მასაც შეგორება აღარ გასჭირვებია.

„პანათინაიკოსმა" ერთხელ მაინც შეძლო მასპინძელთა კარის დაჭაშნიკება. ვიტორ ბაიას შემცვლელმა პაულუ სანტუშმა კოლკას დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა.

მატჩის დასრულებამდე 12 წუთით ადრე „პორტუ" სეკრეტარიუმ კაცნაკლულიც დატოვა, მაგრამ რიცხობრივ უპირატესობას სტუმართათვის ხეირი არ მოუტანია.

**რეალი 3:0 სპარტა**

1:0 სოლარი (60), 2:0 გუტი (64), 3:0 სავიო (71)
რეალი: კასილიასი, ჯერემი, პავონი, ბრავო, ელგერა (მორიენტესი 76), კონსეისაო, სელადესი, მაკმანამანი (სავიო 53), გუტი, მუნიტისი, სოლარი (მინამბრესი 63)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
სპარტა: ჩეხი, ჩიჟეკი, მუბშმანი, იროვ ნოვოტნი, ფლახბარტი, სიონკო, იაროშიკი, კლეინი, მიხალიკი, კინცლი, აბანდა (მაზანიჩი 66)
მწვრთნელი: იაროსლავ ჰრებიკი
გაფრთხილება: მუნიტისი, ფლახბარტი, აბანდა, ელგერა
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
40 000 მაყურებელი

**მესამოცე** წუთამდე პრაღელთა გულის როშელიღაც კუნჭულში გამარჯვების პატარა იმედი შეიძლება კიდეც დაკუნტრუშებდა.

„სამეფო კლუბის" ნაზირ-ვეზირები თავს არც ისე იწუხებდნენ, მაგრამ საკმარისი იყო, „რეალს" ოდნავ ტემპი მოემატებინა და ორი-სამი ზუსტი პასით უკვე ჩეხთა კართან იქმნებოდა საგოლეები. განსაკუთრებით დიდი ბერნაბეუს სეხნია ცდილობდა. სანტიაგო სოლარი ნამატჩევს თვით ულვაშა ძიამ, ვისენტე დელ ბოსკემ შეაქო, ნამდვილი ლიდერიაო.

პირველ ნახევარში ჩეხები ასე თუ ისე უძალიანდებოდნენ მადრიდელებს და უგოლო ფრესაც გამოჰკრეს ხელი. აი, მეორე ტაიმის დაწყებიდან თხუთმეტიოდ წუთში კი სანტიაგო სოლარიმ „სპარტას" მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო.

პრაღელი სიონკო, ვინც მატჩამდე თავისიანების გამარჯვებას და სასწაულს წინასწარმეტყველებდა, გაშვებული გოლის შემდეგ, ვგონებ, ფიქრობდა, დიდი ანგარიშით წაგებას სასწაულით თუ გადავურჩებითო. თერთმეტიოდ წუთში მისი ასეთი ვარაუდიც გაცამტვერდა. მასპინძლები ბურთს თავის გემოზე დააგელვებდნენ და სულთმბორგავ ჩეხებს კიდევ ორჯერ აღმოახდინეს გმინვა. ჯერ გუტიმ დაიბურა მაისურით თავი გოლის გატანის შემდეგ, მერე კი შეცვლაზე შესულმა სავიომ, ესეც სამი, „სამეფო კლუბის" საზეიმო განწყობა გაამყარა.

მარცხნაწვნევ იაროსლავ ჰრებიკს ისღა დარჩენოდა, ნამატჩევს მადრიდის „რეალი" დიად გუნდად ელიარებინა. ჰრებიკი ამ საქმეში არც პირველია და არც ბოლო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 5 | 5 | 0 | 0 | 12:3 | 15 |
| პანათინაიკოსი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| პორტუ | 5 | 1 | 1 | 3 | 3:4 | 4 |
| სპარტა | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური. D ჯგუფი

# იტალიას უკვირს

## საიდან ჩნდებიან გერმანელები?

**არსენალი 0:2 დეპორტივო**

0:1 ვალერონი (30), 0:2 ნაიბეტი (40)
ანრიმ ვერ გაიტანა პენალტი (66, მოლინა)
არსენალი: სიმენი, ლუერი, სტეპანოვსი, კემბელი, ლორენი, პირესი, ვიეირა, გრიმანდი (ლიუნგბერგი 64), ბერგკამპი, ანრი, ვილტორდი (კანუ 64)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
დეპორტივო: მოლინა, სკალონი, სეზარი, ნაიბეტი, რომერო, სერხიო, მაურო სილვა, ვიქტორი, დიეგო ტრისტანი (კაპდევილა 72), ტრისტანი (მაკაი 85), ვალერონი (დუშერი 80)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ვიქტორი, სერხიო, სკალონი, ვიეირა, მოლინა, ნაიბეტი
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
35 392 მაყურებელი

0:2 — აი, ასე, მოკლედ და კონკრეტულად. ლონდონელი მეთოფეების (როცა იგებენ ინგლისური გუნდია და როცა მარცხდებიან ფრანგული) ბოლოდროინდელი თავბრუდამხვევი თამაშის ფონზე უამრავ ადამიანს ეგონა, რომ D ჯგუფის ლიდერთა სამშაბათის შეხვედრაც მათი გამარჯვებით დასრულდებოდა, მაგრამ ლაკორუნიელებმა, რომელთა საგანგებო ძალისა, რატომღაც ბევრს ჯერ არ სწამს, „ჰაიბერის" ტაბლოს თავისი ბეჭედი დაასვეს. „არსენალი", რომელსაც ჯერ კიდევ აქვს „მანჩესტერ იუნაიტედის" 1999 წლის სამ ფრონტზე გამარჯვების გამეორების იმედი, ხუან კარლოს ვალერონისა და ნურედინ ნაიბეტის გოლებით დამარცხდა. ჩამორჩენის შესამცირებლად მასპინძლებს დიახაც ჰქონდათ შანსი, მაგრამ ტიერი ანრიმ პენალტი ვერ გაიტანა.

მატჩის შემდეგ „დეპორტივოს" თავკაცი ხავიერ ირურეტა სიხარულს ვერ მალავდა:

„ჩვენ დიდებულ შედეგს მივაღწიეთ და ფეხბურთელებს გულით და სულით ვულოცავ ასეთ თამაშს. წინასწარ ამას ვერავინ იტყოდა. „დეპორტივომ" ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ორ ინგლისურ გუნდს მოუგო მათსავე მოედანზე და ახლა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გუნდის სახელის მოსაპოვებლად იბრძვის".

როდესაც სტუმართა მწვრთნელს ჰკითხეს, შეძლებს თუ არა „არსენალი" მეოთხედფინალში გასვლას, მან უპასუხა:

„ცხადია, „არსენალი" კონტრშეტევაზე ძალიან ძლიერად თამაშობს და პირესისა და ანრის ხელში გამარჯვების დიდი შანსი აქვს. ვუსურვებ კიდეც „იუვენტუსთან" გამარჯვებას."

„არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა კი თავისი მოთამაშეების კრიტიკა არ იკადრა: „მე ჩემი ფეხბურთელებით ძალიან ვამაყობ. მათ თავდადებით ითამაშეს, მაგრამ „დეპორტივო" დღეს, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, დიდებული იყო".

შემდეგ ანრის გაფუჭებულ პენალტზეც ითქვა:

„გოლი რომ გაგვეტანა, 2:1 გახდებოდა და მერე, ვფიქრობ, გავათანაბრებდით კიდეც".

ანრი, მოგეხსენებათ, ინგლისის ჩემპიონატში სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით გახლავთ დასჯილი, მაგრამ ევროშეჯიბრებაში თამაში ნებადართული აქვს, ხოლო შვედი ფრედერიკ ლიუნგბერგი ფორმაში არ არის და თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდა. იგი მოედანზე 64-ე წუთზე შევიდა და ხელად მოინადირა კიდეც ის პენალტი, რომელზეც ზემოთ უკვე ვთქვით.

ამრიგად, „დეპორტივო" თითქმის მეოთხედფინალშია, ვერგასვლის ერთი ვარიანტი აქვს — ბოლო ტურში წააგოს გერმანელებთან, „არსენალმა" კი ტურინში გაიმარჯვოს. ამ შემთხვევაში სამ გუნდს შორის ბურთების შეფარდებას დაითვლიან.



არსენალი — დეპორტივო. ნერვებნამტყუნებმა ლონდონელებმა კუნთებზე დაიხედეს

**ლევერკუზენი 3:1 იუვენტუსი**

1:0 ბუტი (24), 1:1 ტუდორი (61), 2:1 ბრდარიჩი (71), 3:1 ბაბიჩი (90)
ლევერკუზენი: ბუტი, სებესკენი, ლუსიო, იენს ნოვოტნი (ვრანიეში 12), პლასენტე, შნაიდერი, რამელო, ზე რობერტო, ბაშტურქი (კლაინი 90), ბერბატოვი (ბაბიჩი 78), ბრდარიჩი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
იუვენტუსი: ბუფონი, ფერარა, ბირინდელი, ძენონი, პესოტო (ტუდორი 46), კონტე (მარესკა 46), ძამბროტა, ტაკინარდი, ნედვედი, ტრეზეგე, ამორუზო (ზალაიეტა 61)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ფერარა, ბრდარიჩი, სებესკენი, ტუდორი, პლასენტე, ნედვედი
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)
22 500 მაყურებელი

**„ბაიერმა"** ყოჩაღი ფეხბურთი ითამაშა. ტურინიდან ჩასულ სახელოვან მოწინააღმდეგეს მისსავე ნახევარზე ისეთი მჭიდრო მეურვეობა დაუწესა, რომ სამი დღის წინ იტალიის ჩემპიონატში „ინტერთან" ომგადახდილ „ბებერ ქალბატონს" მეტწილად მოედნის შუიდან წინ გადასვლა უჭირდა. ორ-სამ მეტრში თანაგუნდელისთვის გაგორებულ ბურთს, რომელიც ჩვეულებრივ, ოციდან ცხრამეტ შემთხვევაში ადრესატამდე მიდის, საიდანღაც გამოვარდნილი გერმანელები ეუფლებოდნენ და კარის დასალაშქრავად მიიწევდნენ. ამას დაერთო ისიც, რომ მარჩელო ლიპის განკარგულებაში არ იყო ლილიან ტურამი, რომლის დაცვაში ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო ალესანდრო დელ პიერო, კაცი, რომლის შიშითაც წინ საომრად გავარდნილ გერმანელთაგან ერთი-ორი მაინც დაიხევდა ცოტა უკან, სულაც იტალიაში დარჩა. დისკვალიფიცირებული გახლდათ ედგარ დავიდსიც. სრულიად წამგებიანი გამოდგა დაცვის ცენტრში ალესანდრო ბირინდელის დასაქმება. ეს განაპირა მცველი ყოველი მხრიდან შემორტყმულ სივრცეს ალღოს ვერ ულებდა და ხშირად ასაკოვან ჩირო ფერარას უხდებოდა თავისი ისედაც ძნელი საქმისთვის მისი წილის დამატებაც.

საბოლოოდ „იუვემ" 1:3 წააგო და საქმე გაირთულა. ბოლო ტურში ტურინელებმა „არსენალს" მინიმუმ 2:0 უნდა მოუგონ, „ლევერკუზენი" კი „დეპორტივოსთან" უეჭველად უნდა დამარცხდეს — სხვა ვარიანტები „იუვეს" არ აწყობს.

„ის, რომ მეოთხედფინალში გასვლის შანსი შეგვიმცირდა, სერია A-ში ტიტულისთვის ბრძოლაზე არანაირად არ აისახება. ეს ორი შეჯიბრება სრულიად განსხვავებულია" — განაცხადა ლიპიმ, რომლის ფორვარდი დავიდ ტრეზეგე უეხმტკივანი თამაშობდა. შემდეგ ლიპიმ დასძინა:

„საძაგლად ვითამაშეთ, თუმცა უძლიერესი მეტოქე გვყავდა. მეორე ტაიმში, მოედანზე ტუდორის შესვლის შემდეგ უკეთ ავთამაშდით. მაგრამ იგორი საუკეთესო ფორმაში არ არის და ამიტომ თავიდანვე არ შევიყვანე მოედანზე".

ლევერკუზენელთა თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა კი ბრძანა: „დღეს ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდს დიდებულად მოვუგეთ. ისევ გაგვიჩნდა მეოთხედფინალში გასვლის შანსი, რასაც ჩვენს მენტალურად ძლიერ ფეხბურთელებს ვულოცავ".

**პაატა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| არსენალი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| ლევერკუზენი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:10 | 7 |
| იუვენტუსი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |

## UEFA CUP უეფას თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) - ფეიენოორდი (ჰოლანდია)

ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) - მილანი (იტალია) (ნეიტრ.)

ლიბერეცი (ჩეხეთი) - დორტმუნდი (გერმანია)

ინტერი (მილანი, იტალია) - ვალენსია (ესპანეთი)

# ლენარტ, შე ტერორიზმის მონავ!

## ორფეხა თუ ოთხფეხა ნიქოზიამ მოხვეტა



ჰექტორ რაულ კუპერი ნაკუპერალს დაუხვდება

**ფრთაფარფატა** თეთრი მტრედებით რომ გაივსოს ლაზას სექტორი და მდინარე იორდანეს ორივე ნაპირი, „ჰაპოელი" — „მილანი" თელ ავივში მაინც არ გაიმართება. ის კი არა, არაბი ტერორისტები სტადიონის ზედა რკალზე ანგელოზებადქცეულნი რომ შემოსხდნენ, უეფა თავის სიტყვას აღარ გადავა. დღეს მატჩი კვიპროსში, ნეიტრალურ მოედანზე შედგება და ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია. შეხვედრის წინა პერიპეტიები მძაფრსიუჟეტიანი ფილმის კვანძის გახსნას უფრო მეტად წააგავს, ვიდრე ფეხბურთისთვის მზადებას.

ნიქოზიის პოლიციის პრესმდივანი სტელიოს ნეოპიტუ: „პოლიცია მზადაა უსაფრთხოების მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად. გვაქვს მუდმივი კავშირი იტალიისა და ისრაელის ხელისუფლებთან. პერიოდულად ვაცნობებთ ჩვენი მზადებისა და მოქმედების შესახებ". კუნძულის მთავარმა პოლიციელმა ანდრეას ანგელიდესმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ორივე მხარეს უსაფრთხოების გარანტიებს აძლევს. მობილიზებულია 1300-ზე მეტი სამართალდამცავი, ვერტმფრენები და ადამიანის ოთხფეხა მეგობრები. სპეცდანიშნულების რაზმებს მომზადების კურსები ამერიკაში და ბრიტანეთში ჰქონიათ გავლილი. კვიპროსის მთავრობამ თხოვნით მიმართა მუსულმან ტერორისტებს, 90 წუთის განმავლობაში ფეთქებადი აზრები თავიდან მოიშორეთო.

საფეხბურთო კლუბი „ჰაპოელი" კვიპროსში თვითმფრინავით გაემგზავრა, რომელსაც ფრთები ბომბდამშენებმა დაუმშვენეს. სად და რომელ სასტუმროში გაჩერდა გუნდი, მკაცრად გასაიდუმლოებულია. ნიქოზიაში დაახლოებით 8 000 ებრაელ გულშემატკივარს ელიან. კლუბის მფლობელმა მოშე თეუმიმ 100 ბილეთი შეიძინა და უქონელ ძმაკებს დაურიგა. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ბენ ელიზერმა უეფას გადაწყვეტილებას, მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გამართვის შესახებ, ტერორიზმის წინაშე კაპიტულაცია უწოდა.

კაპიტულაციამ „როდასთან", „ინტერთან", და „ბოლონიასთან" ადრიანო გალიანისაც ათქმევინა ორიოდ სიტყვა. „ბოლონიასთან" მომხდარი აღარ უნდა განმეორდეს. თუმცა ვფიქრობ, რომ წარუმატებლობა სერია A-ში „ჰაპოელთან" მატჩის წინ ბიჭებზე ფსიქოლოგიურად ცუდად იმოქმედებს". კარლო ანჩელოტიმ აღიარა, „ბოლონიასთან" ჩავარდით, მაგრამ გუნდმა ეს მარცხი რაც შეიძლება მალე უნდა დაივიწყოსო.

„ჰაპოელს" ტრავმების გამო ბენ ლუზი და იშტვან პიშონტი დააკლდებათ. უამისობამ კი არა, „ჰაპოელს" „ჩელსიმ", „ლოკომოტივმა", „პარმამ" და „პესბოლამ" ვერაფერი დააკლეს.



„დორტმუნდს" ახმახი იან კოლერი დაუბრუნდა

მილანში „ინტერი" და „ვალენსია" დაეჭიდებიან. ერთმანეთს გაეჯიბრებიან მასწავლებელი და მოსწავლე, ასე ინება წილისყრამ. ჰექტორ რაულ კუპერის „ინტერი" ნაკუპერალ „ვალენსიას" კუპრისფრად შეღებვას შეეცდება. ისიც ვთქვათ, რომ რაფაელ ბენიტესიც არაა „რაფაელოსავით" აზიზი. ჰექტორის დაწყებული საქმის ღირსეულ გამგრძელებელს გზას ისევ ჭაღარა არგენტინელი თუ შეუმოკლებს. „სან სიროს" ბალახეული ვალენსიელთათვის უცხო აღარაა. იქ კუპერის „ვალენსია" ჩემპიონთა ლიგის ფინალში მიუნხენის „ბაიერნთან" დამარცხდა. ალბათ, ორი გიგანტის სიძლიერეზე ლაპარაკი ზედმეტია, რამეთუ ორივე უძლიერესია ამჟამად. „ინტერს" არ ეყოლება დისკვალიფიცირებული კრისტიანო ძანეტი და ტრავმირებული ხავიერ ფარინოსი. გოლთმჩარხავი დაზგა ვიერი-ვენტოლა, შესაძლოა, დღეს ვენტოლა-კალონად გარდაისახოს, ანუ ვიერიმ დაისვენოს.

ვალენსიელების — კილი გონსალესისა და დავიდ ალბელდას თამაშიც საეჭვოა, თუმცა მეტოქეები მაღალი კლასის შემსრულებლების ნაკლებობას არ განიცდიან. ამიტომ, ვფიქრობთ, მათი თამაში თვალსასეირო გამოდგება.

სახეგაბადრული იქნება დღეს მათიას ზამერი, „ბორუსიას" სტაციონარიდან მოთამაშეები დაუბრუნდნენ. იორგ ჰაინრიხი, ტომაშ როსიცკი, ლარს რიკენი და კრისტოფ მეცელდერი სათამაშოდ მზად არიან, ისევე როგორც სასჯელმოხდილი ფეხთხილამურა იან კოლერი. ეს ამბავი „ლიბერეცის" თავკაცმა ლადისლავ იაკორპილმაც შეიტყო: „ჩვენ პატივს ვცემთ დორტმუნდის „ბორუსიას" და სულაც არ გვეშინია მეტოქის. ჩემს ფეხბურთელებს გასაგებად ავუხსენი, იან კოლერი და ტომაშ როსიცკი ისეთივე ბიჭები არიან, როგორც თქვენ". ვინ როგორი ბიჭია, დღეს სტადიონ „ლეტნაზე" გამოჩნდება.

ბოლოს ჰოლანდიურ წყვილზეც ვთქვათ, თუმცა ბევრი სალაპარაკო არაფერია. „პსვ ეინდჰოვენი" და „ფეიენოორდი" ჩემპიონატში „აიაქსის" მდევრები არიან, აქ კი უეფას თასისა. ორივენვე ჯერჯერობით შანსი აქვთ, მაგრამ როგორც ჩემპიონობა, ისე უეფას თასი ერთია და ყველას არ შეხვდება.

**ბაჩა ხუციშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიის** ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატამდე ტაილანდში გაივლის საწვრთნელ შეკრებას. ტეტრაკამპეონები იქ ერთ ამხანაგურ მატჩსაც ჩაატარებენ მასპინძელთა ეროვნულ გუნდთან, მერე კი კორეას ეწვევიან. შეგახსენებთ, რომ მუნდიალზე ბრაზილიელთა მეტოქეები ჩინეთის, კოსტა რიკისა და თურქეთის ნაკრებები არიან.

**ინგლისური „ლიდსის" ნახევარმცველმა ლი ბოიერმა განაცხადა, რომ მზადაა, კლუბთან ახალი, 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმოს. ამ ხნის განმავლობაში ბოიერი 8 მილიონ გირვანქას მიიღებს. ყველა დეტალი უკვე შეთანხმებულია.**

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, „სკუადრა აძურასა" და ურუგვაის ნაკრების ამხანაგური მატჩი მილანში, „სან სიროზე" ჩატარდება. ეს შეხვედრა 17 აპრილსაა დაგეგმილი. მანამდე კი, 27 მარტს, იტალიელები ლიდსს ეწვევიან და ინგლისის ნაკრებს გაეჯიბრებიან. მოსამზადებელი ეტაპის ბოლოს ჯოვანი ტრაპატონის შეგირდები პრაღაში ჩეხეთს შეხვდებიან.

**ინგლისური „არსენალის" ნიგერიელ თავდამსხმელ ნვანკვო კანუს სახლი გაუქურდეს. შინ ფეხბურთელის ძმა, ჰენრი, იმყოფებოდა, რომელიც სამმა ნიღბიანმა გაკოჭა. მძარცველებმა მას ძვირადღირებული მანქანის გასაღები მოსთხოვეს და სახლიც „გაასუფთავეს". შეგახსენებთ, რომ ეს უკვე მეორე შემთხვევაა 26 წლის ნიგერიელი ფორვარდისთვის. გამოძიებამ კვალს ჯერ ვერ მიაკვლია.**

**შოტლანდიის** ნაკრების გერმანელმა თავკაცმა ბერტი ფოგტსმა გლაზგოს „სელტიკის" ყოფილ მწვრთნელ ტომი ბერნსს თანაშემწედ მუშაობა შესთავაზა. ამჟამად ბერნსი „სელტიკის" ახალგაზრდულ გუნდს წვრთნის. გლაზგოელთა ამჟამინდელმა თავკაცმა მარტინ ონილმა ფოგტსის ინიციატივა დადებითად შეაფასა, თუმც აღნიშნა, რომ ბერნსმა იმავდროულად კლუბშიც უნდა იმუშაოს.

**ბრაზილიის ნაკრების თავკაცმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ იტალიური „ინტერის" თავდამსხმელი რონალდო ეროვნულ გუნდში დააბრუნა. შეგახსენებთ, რომ რონალდომ ახლახან მოიშუშა ტრავმა და ნაკრების გარდა კლუბსაც დაუბრუნდა. ბრაზილიელები 27 მარტს იუგოსლავიას გაეჯიბრებიან.**

**იტალიურ** „პარმას" მომავალი სეზონიდან შესაძლოა, ჩეზარე პრანდელი ჩაუდგეს სათავეში. „პრანდელი ჩვენთვის სასურველი კანდიდატია. მას „ვენეციასთან" კონტრაქტი აკავშირებს, თუმცა ვფიქრობ, ეს დამატებით პრობლემებს არ შეგვიქმნის" — განაცხადა „პარმას" მენეჯერმა სალვატორე სკალიამ. აქვე გეტყვით, რომ 44 წლის პრანდელის ადრე „ლეჩესა" და „ვერონაში" უმუშავია. ის ახევე „ატალანტას" ახალგაზრდულ გუნდსაც წვრთნიდა.

**ინგლისური „არსენალის" ფრანგ ნახევარმცველ რობერ პირესს „ნიუკასლის" მწვრთნელ ჯონ კარვერთან კონფლიქტი მოუვიდა. თასის მეოთხედფინალში პირესი ჯეიმი მაკკლენს ეუხეშა, რამაც კარვერის აღშფოთება გამოიწვია. ამას კი ფრანგის პასუხიც მოჰყვა. „მე მხოლოდ მაკკლენი დავიცავი, მეტი არაფერი — თქვა კარვერმა — პირესი გამოცდილი ფეხბურთელია, ამიტომ ასეთ სიტუაციაში მისმა დარმა მოთამაშემ უფრო კორექტულად უნდა იმოქმედოს". შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში პირესი „ლიდსის" თავკაც დევიდ ოლირისაც მსგავსი მიზეზით წაეკიდა.**

**ესპანური** „ესტრემადურას" თავდამსხმელი კიკო ნარვაესი კარიერის დასრულებას აპირებს. გამოცდილმა ფეხბურთელმა სახელი მადრიდის „ატლეტიკოში" თამაშისას გაითქვა და ფეხბურთიდან წასვლას წინა სეზონშივე აპირებდა. აქ კი „ესტრემადურას" პრეზიდენტმა იყოჩაღა და კიკოს დაყოლიება მოახერხა. ახლა ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება და უკვე გადაწყვიტა, რომ სამიოდ თვეში ფეხბურთს გამოემშვიდობება. კიკო სპორტულ კომენტატორობაში სცდის ბედს.

**იტალიური „იუვენტუსის" ვიცე-პრეზიდენტ ლუჩანო მოჯის თქმით, კლუბი „კიევოს" ბრაზილიელი ნახევარმცველი ერიბერტოთია დაინტერესებული. ტურინელები ამ ფეხბურთელს უკვე კარგა ხანია, აკვირდებიან და, როგორც ჩანს, მისი შეძენა საბოლოოდ გადაწყვიტეს.**

**იაპონური** „ტოკიო ვერდის" ბრაზილიელმა ფორვარდმა ედმუნდომ ტრავმა მოიშუშა და უახლოეს დღეებში კლუბს დაუბრუნდება. ედმუნდოს ოპერაციის შემდეგ სამი თვე გაუცდა და ახლა სრულად გამოჯანმრთელდა.

**ესპანური „ესპანიოლი" მინსკის „დინამოს" თავდამსხმელ ვიტალი ლედენევს აკვირდება. ლედენევი უკვე ბარსელონურ კლუბშია გასინჯვაზე. შეგახსენებთ, რომ ბელარუსის ახალგაზრდული ნაკრების წევრი შარშან ებრაულ ჰაიფას „ჰაპოელში" ცდილობდა ჩარიცხვას, თუმც ამაოდ.**

**ინგლისის** ასოციაციის თასის ნახევარფინალური მატჩები 14 აპრილს მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" და ბირმინგემის „ვილა პარკზე" ჩატარდება. მანჩესტერში ერთმანეთს „მიდლსბრო" და „ნიუკასლ" — „არსენალს" შორის გამარჯვებული დაუპირისპირდება, ხოლო „ფულემი" და „ჩელსი" ბირმინგემში გაარკვევენ ურთიერთობას. რაც შეეხება ფინალს, „უემბლის" რეკონსტრუქციის გამო გადამწყვეტი მატჩი 4 მაისს, შარშანდელის დარად კარდიფის „მილენიუმზე" ჩატარდება.

## ამხანაგური მატჩი

27 მარტს ჟენევაში არგენტინის ნაკრები კამერუნს ამხანაგურად გაეჯიბრება. სამხრეთამერიკელთა თავკაცმა მარსელო ბიელსამ ამ მატჩისთვის შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

***მეკარეები:*** ხერმან ბურგოსი („ატლეტიკო", ესპანეთი), პაბლო კავალიერო („სელტა", ესპანეთი);

***მცველები:*** ვალტერ სამუელი („რომა", იტალია), მაურისიო პოჩეტინო (პსჟ, საფრანგეთი), რობერტო აიალა („ვალენსია", ესპანეთი), დიეგო პლასენტე („ლევერკუზენი", გერმანია), ხოსე ანტონიო შამოტი („მილანი", იტალია);

***ნახევარმცველები:*** მატიას ალმეიდა („პარმა", იტალია), ხავიერ ძანეტი („ინტერი", იტალია), პაბლო აიმარი („ვალენსია", ესპანეთი), ხუან სებასტიან ვერონი („მანჩესტერ იუნაიტედი", ინგლისი), მარსელო გალიარდო („მონაკო", საფრანგეთი), ხუან პაბლო სორინი („კრუზეირო", ბრაზილია);

***თავდამსხმელები:*** კლაუდიო კანიჯა („გლაზგო რეინჯერსი", შოტლანდია), ერნან კრესპო („ლაციო", იტალია), კლაუდიო ლოპესი („ლაციო", იტალია), კილი გონსალესი („ვალენსია", ესპანეთი), გუსტავო ლოპესი („სელტა", ესპანეთი)



უოლტერ სმიტი

# მა ბებრები რო შეგიყრიაო...

„ევერტონის" 54 წლის მწვრთნელი უოლტერ სმიტი სამწელიწადნახევრიანი მუშაობის შემდეგ გუშინ თანამდებობიდან გაათავისუფლეს. სმიტს კლუბთან კონტრაქტი ჯერაც არ გასრულებოდა და ამიტომ საკომპენსაციოდ მილიონ გირვანქას (1,41 მილიონი დოლარი) მიიღებს.

ფიალა მაშინ აივსო, როცა წინა კვირას „ევერტონმა" „მიდლსბროსთან" უსახურად 0:3 წააგო და ქვეყნის ასოციაციის თასიდანაც გავარდა. გუნდს პრემიერლიგაშიც ცუდად მისდის საქმეები, მეთხუთმეტე ადგილზეა და გასავარდნებთან მჭიდროდ მეზობლობს. არადა, ერთი სეზონიც და „ევერტონი" პირველი ინგლისური კლუბი გახდება, ელიტარული ლიგაში ასი წელი რომ უთამაშია.

ასეთია მწვრთნელის ბედი. 1998 წელს, როცა სმიტი კლუბში მივიდა, ბოსებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ბორბალი წალმა დატრიალდებოდა, „ევერტონი" ოდინდელ ძლიერებას დაიბრუნებდა, მაგრამ მოგეხსენებათ, დღევანდელ ფეხბურთში ფული წყვეტს ყველაფერს, მერსისაიდელებს კი ამ მხრივ საშუალოებში თუ მოვიხსენიებთ. მაგალითად, თავის დროზე სმიტის რეკომენდაციით 17 მილიონი გირვანქა დახარჯეს ჯონ კოლინზის, ოლივიე დაკურის, მარკო მატერაცის, დევიდ ანსუორთისა და იბრაჰიმ ბაკაიოკოს შესაძენად, მაგრამ განა მარაქაში ეს ბევრს ნიშნავს?

სმიტიც ჩავარდნას უფულობასა და ფეხბურთელების ტრავმებს აბრალებს. კრიტიკოსები კი სხვა რამეზე ედავებიან, ფული ფულად, მაგრამ რად გინდოდა გუნდში ბებრები, პოლ გესქოინი, დავიდ ჟინოლა და დანკან ფერგიუსონი რომ შეყარეო. სხვათა შორის, მოგვიანებით ხელმძღვანელობამ ფერგიუსონი სმიტის ზურგსუკან მიჰყიდა „ნიუკასლს".

მოკლედ, სმიტი წავიდა. არადა, ამ კაცს გამოცდილება არ აკლია. თავის დროზე შოტლანდიურ „დანდი იუნაიტედში" ჯიმ მაკლინის თანაშემწე იყო და გუნდმა უეფას თასის ფინალში, მერე კი ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში ითამაშა. მოგვიანებით „რეინჯერსში" გრემ სუნესს ეხმარებოდა, 1991 წლიდან კი „ჩაფრებს" მთავარმწვრთნელობდა და შოტლანდიაში თუ რამე პრიზ-მედალია, ყველაფერი მოიგო. 98-ის ზაფხულში „ევერტონში" მიიპატიჟეს და დანარჩენი თქვენც იცით..

**სოლომონ გულისაშვილი**

## ინგლისის პრემიერლიგისა და I დივიზიონის კლუბებში წლეულს მოხსნილი და დანიშნული მწვრთნელები

| კლუბი | მოხსნეს | დანიშნეს |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | ჯონ გრეგორი | გრემ ტეილორი |
| ბარნსლი (I) | ნაიჯელ სპეკმენი | სტივ პარკინი |
| ბირმინგემი (I) | ტრევორ ფრენსისი | სტივ ბრიუსი |
| ბრედფორდი (I) | ჯიმ ჯეფერისი | ნიკი ლოუ |
| ქოვენთრი (I) | გორდონ სტრაჩანი | როლანდ ნილსონი |
| კრისტალ პალასი (I) | სტივ ბრიუსი | ტრევორ ფრენსისი |
| დერბი ქაუნთი | ჯიმ სმიტი | კოლინ ტოდი |
| | კოლინ ტოდი | ჯონ გრეგორი |
| ევერტონი | უოლტერ სმიტი | უცნობია |
| გრიმსბი (I) | ლენი ლოურენსი | პოლ გროვსი |
| ლესტერი | პიტერ ტეილორი | დეივ ბასეტი |
| შეფილდ უენსდი (I) | პიტერ შრივსი | ტერი იორატი |
| საუთჰემპტონი | სტიუარტ გრეი | გორდონ სტრაჩანი |
| სტოკპორტი (I) | ენდი კილმერი | კარლტონ პალმერი |
| უოლსოლი (I) | რეი გრეიდონი | კოლინ ლი |

# უკრაინამ სტუმრად გაიტანა საპასუხო ნეიტრალურზე გადაიტანა

**25 იანვარს** პორტუში 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა მოეწყო. მას შემდეგ დაახლოებით თვენახევარი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა ჯგუფში განაწილებულ ნაკრებთა თავკაცები ერთმანეთს ხვდებიან და კალენდრის შედგენაზე ფიქრობენ. ფიქრთან ერთად კი ხასურველი ვარიანტების მეტ-ნაკლებად გატანას ცდილობენ.. ზოგი შეთანხმდა, ზოგიც ვერა..

ათენში შეკრებილ მეექვსე ჯგუფის ბინადრებს ხელის ხელზე დაკვრა უკრაინამ არ დააცალა, აქაოდა, თქვენი პირობები ჩვენსას საერთოდ არ ემთხვევაო.

აი, რა თქვა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრ ბანდურკომ: „ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩვენ ყველა იგნორირებას გვიკეთებდა. თავდაპირველად საკუთარი ვარიანტი საბერძნეთმა წარმოადგინა, რაც ჩვენთვის სრულიად მიუღებელი იყო. მათი ვარიანტით, უკრაინა ციკლს ესპანეთთან მატჩით ამთავრებდა, თანაც პირველ ტურში, 7 სექტემბერს, თამაში არ უწევდა. არადა, ამ დროს ჩვენ საუკეთესო ფორმაში ვართ ხოლმე. ამის გარდა, 29 მარტს და 2 აპრილს, ზედიზედ ბერძნებთან და ესპანელებთან უნდა გვეთამაშა. ბერძნებს ყველაფერი კარგად ჰქონდათ გათვლილი. ამ დროს თამაში ხომ უკრაინას ყოველთვის უჭირს. ჩვენი აღშფოთება იმანაც გამოიწვია, რომ მათ მხარი ესპანელებმაც აუბეს, თუმცა მოგვიანებით ჩრდილოეთ ირლანდიამ შეგვაწია სიტყვა. ასე რომ, კალენდარი ჯერაც შეუდგენელია".

მეექვსე ჯგუფის წარმომადგენლები 8 აპრილს შვეიცარიულ ნიონში კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს. თუ მაშინაც ვერ შეთანხმდებიან, ყველაფერს უეფა გადაწყვეტს.

ქართულმა დელეგაციამ კი დუბლინში..

**კახა შალამბერიძე**

# ბატი რომიდან გაიქცა? ყველა ტყუის ჩემს გარდა

**„რომას"** მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ არგენტინელი ფორვარდის, გაბრიელ ბატისტუტას კრიტიკოსებს შეუტია და თქვა, ვარსკვლავი მომავალ სეზონშიც ჩვენთან დარჩებაო. მოგეხსენებათ, ბოლო ტურში, რომაული დერბი ბატისტუტამ სათადარიგოთა სკამზე გაატარა და ამბობდნენ, წინა საღამოს, როდესაც ეს ამბავი აცნობეს, გაგიჟებული საწვრთნელი ცენტრის ტერიტორიიდან გავარდაო. მეორე დღეს, „რომამ" მის გარეშე 5:1 გაიმარჯვა, მაგრამ ჭორები და მითქმა-მოთქმა დარჩა.

„მე რომ ბატისტუტა ვიყო, იმ ხალხს, ვინც ასეთი სტატია დაწერა, სასამართლოში ვუჩივლებდი — განაცხადა კაპელომ — რაც მე „რომას" მწვრთნელი ვარ, ერთხელაც არ მომხდარა, რომ ვინმეს სათადარიგოთა სკამზე ჯდომაზე უარი ეთქვას. ეს სისულელეა. არასდროს დამიმალებია რომელიმე ფეხბურთელისთვის, გინდა თუ არა, ჩემს გუნდში ითამაშე-მეთქი, ესეც ფაქტია".

შეგახსენებთ, რომ რაც უფრო ახლოვდება ზაფხული, მით უფრო მეტს ლაპარაკობენ კაპელოს „ბარსელონაში" გადასვლაზე. ესპანელმა აგენტმა კარლოს ურიარტემ „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა კიდეც:

„საიდუმლო არაფერია. ფაბიოს „ბარსელონაში" მუშაობა სურს, რადგან ის მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კლუბად მიაჩნია. ხომ გახსოვთ, „მილანში" კონტრაქტის თანახმად კიდევ სამი წელი უნდა დარჩენილიყო, ის კი „რეალში" წავიდა".

მაგრამ კაპელომ, რომელსაც „რომასთან" ხელშეკრულების თანახმად იტალიის დედაქალაქში კიდევ ერთი წელიწადი აქვს გასატარებელი, ყველაფერი უარყო:

„აგენტი საერთოდ არ მყავს და სწორედ ამით ვამაყობ. ყველა, ვინც ჩემი სახელით ლაპარაკობს, მატყუარაა. „რომადან" წასვლაზე ხმა არასდროს ამომიღია, ხოლო კლუბის პრეზიდენტს, ფრანკო სენსის ყოველდღე ველაპარაკები. ცხადია, გამორიცხული არასდროს არაფერია, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ არც „რომასთან" ახალი კონტრაქტის დადება უნდა გამოვრიცხოთ".

**ბაჩუნა ძიდია**



ფაბიო კაპელო გაბრიელ ბატისტუტა რომ იყოს..



## რუსეთი

### პრემიერლიგა. II ტური

**ალანია 1:4 კრილია სოვეტოვ**

0:1 კარიაკა (35), 0:2 გუსევ (43), 0:3 ბობერი (46), 1:3 ივიდაძე (49), 1:4 პოშკუსი (57)

ალანია: გაბულოვი, ტარლოვსკი (ანცელო 46), თეთრაძე, სიკოევი, კუსოვი, ტებლოევი (მაუელე ემილუ 46), ბოჩიევი, ბალიეჩკი, სიმონჩენკო (გრიგორიე 51), ივიდაძე, სეიდცერსკი

მწვრთნელი: ვლადიმირ მუხტაიანი

30 000 მაყურებელი

**ურალანი 0:0 ლოკომოტივი**

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, ლეკქიტო (ცეხოევი 84), იგნაშევიჩი, სირჩაევი, იზმაილოვი, მამინოვი, ლოსკოვი, ობიორა (მაშინინი 46), ჯიბიტრაძე (პიმენოვი 60), სენიკოვი

მწვრთნელი: იური სიომინი

11 000 მაყურებელი

**სატურნი 2:0 როსტსელმაში**

1:0 კირინოვი (54), 2:0 როგაჩევი (73)

**სპარტაკი 3:0 შინიკი**

1:0 სიჩევი (11), 2:0 პარფიონოვი (45), 3:0 სიჩევი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სატურნი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| კრილია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ცსკა | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ანჟი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ურალანი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| დინამო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| როტორი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| როსტსელმაში | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| სოკოლი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ზენიტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ალანია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| ტორპედო ზილ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |
| შინიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

## ინგლისი

### I დივიზიონი

გადადებული მატჩები: ბრედფორდი — ბირმინგემი 1:3; ქრიუ — მანჩესტერ სიტი 1:3; პორტსმუთი — უიმბლდონი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 38 | 25 | 5 | 8 | 89:46 | 80 |
| ვულვზი | 39 | 23 | 9 | 7 | 70:35 | 78 |
| ვესტ ბრომვიჩი | 38 | 20 | 7 | 11 | 45:26 | 67 |
| ქოვენთრი | 39 | 20 | 5 | 14 | 58:40 | 65 |
| მილუოლი | 38 | 18 | 10 | 10 | 58:41 | 64 |
| ბარნლი | 38 | 18 | 10 | 10 | 60:50 | 64 |
| ბირმინგემი | 38 | 17 | 9 | 12 | 57:45 | 60 |
| პრესტონი | 38 | 16 | 11 | 11 | 57:50 | 59 |
| კრ. პალასი | 39 | 18 | 4 | 17 | 65:57 | 58 |
| ნორვიჩი | 38 | 17 | 7 | 14 | 50:47 | 58 |
| უიმბლდონი | 38 | 14 | 13 | 11 | 53:46 | 55 |
| უოტფორდი | 39 | 14 | 10 | 15 | 55:46 | 52 |
| ჯილინგემი | 38 | 14 | 9 | 15 | 53:56 | 51 |
| ნოტინგემი | 39 | 11 | 17 | 11 | 42:37 | 50 |
| შეფილდი | 38 | 12 | 14 | 12 | 42:43 | 50 |
| პორტსმუთი | 39 | 13 | 10 | 16 | 56:63 | 49 |
| ბრედფორდი | 38 | 13 | 6 | 19 | 61:69 | 45 |
| როტერჰემი | 39 | 10 | 14 | 15 | 47:58 | 44 |
| უენსდი | 39 | 10 | 11 | 18 | 42:62 | 41 |
| ქრიუ | 35 | 11 | 8 | 16 | 36:57 | 41 |
| ბარნსლი | 39 | 8 | 15 | 16 | 51:73 | 39 |
| გრიმსბი | 39 | 9 | 12 | 18 | 38:62 | 39 |
| უოლსოლი | 39 | 9 | 10 | 20 | 41:63 | 37 |
| სტოკპორტი | 38 | 3 | 8 | 27 | 34:88 | 17 |

## Copa Toyota Libertadores '2002

### ლიბერტადორესის თასი 2002

**II ჯგუფი. IV ტური**

**12 დე ოკტუბრე (პარაგვაი) 1:0 გრემიო (ბრაზილია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრემიო | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 9 |
| 12 დე კოტუბრე | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 |
| სიენსიანო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ორიენტე პეტროლერო | 4 | 1 | 0 | 3 | 9:11 | 3 |

**III ჯგუფი. IV ტური**

**პენიაროლი (ურუგვაი) 3:0 ელ ნასიონალი (ეკვადორი)**

**სან ლორენსო (არგენტინა) 5:1 რეალ პოტოში (ბოლივია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პენიაროლი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:1 | 9 |
| სან ლორენსო | 4 | 2 | 0 | 2 | 6:3 | 6 |
| ელ ნასიონალი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| რეალ პოტოში | 4 | 1 | 0 | 3 | 4:13 | 3 |

**IV ჯგუფი. IV ტური**

**ბოლივარი (ბოლივია) 5:5 ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლმედო | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| ამერიკა (კოლუმბია) | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ბოლივარი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:11 | 5 |
| ატლეტიკო პარანენსე | 4 | 0 | 2 | 2 | 8:10 | 2 |

**VII ჯგუფი. IV ტური**

**ტულუა (კოლუმბია) 4:2 ტალერესი (არგენტინა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკა (მექსიკა) | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| რივერ პლეიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| ტალერესი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ტულუა | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |



ბოლივარი — ატლეტიკო პარანენსე. ლა პასში, 3 600 მეტრის სიმაღლეზე ჟანგბადი ბალონებით ააქვთ

REUTERS

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## B ჯგუფი: ესპანეთი, სლოვენია, პარაგვაი, ს.აფრიკა

**ფართობი:** 20 253 კმ²
**მოსახლეობა:** 1 920 000
**დედაქალაქი:** ლიუბლიანა
*ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1920 წელს*
ფიფას წევრი 1992 წლიდან
უეფას წევრი 1993 წლიდან
**ფედერაციის პრეზიდენტი:** რუდოლფ ზავრლი
**გენერალური მდივანი:** დანე იოსტი
**სტადიონი:** „ბეჟიგრადი" (22 000)
**მწვრთნელი:** სრეჩკო კატანეცი
**კაპიტანი:** ჯონი ნოვაკი
**ფორმა:** თეთრ-მწვანე (კომბინირებული) მაისურა, მწვანე ტრუსი, თეთრი გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „ოლიმპია", „მარიბორი", „ნოვა გორიცა", „მურა", „ველენიე", „აიდოვშინა", „ცელიე", „დომზალე"
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 27




## არის ასეთი ქვეყანა

როგორც ჩიტი გალიაში... არა, მთლად ასეც არა: სლოვენიას გაჩენია სულ პატარა, მაგრამ მაინც ზღვაზე გასასვლელი და ხორვატიას, უნგრეთს, ავსტრიას და იტალიას პატარა ქვეყნის ბოლომდე ალყაში მოქცევა ვერ მოუხერხებიათ. თუმცა ზღვა როდია სლოვენიის მთავარი ღირსება, არამედ მთები, რადგან სლავური ქვეყნებიდან მხოლოდ სლოვენიაში იჭრება ალპებს მაღალი ქედი და მასთან დასავლური ცივილიზაცია. პოსტსოციალისტურ სივრცეში სლოვენია ყველაზე ევროპული ქვეყანაა, რომელსაც ეთნოკონფლიქტები არ ჰიჭნის, კორუფცია სუსტად აწუხებს და ლათინური დამწერლობა აქვს.

კათოლიკე სლოვენების პატრიოტიზმი ვერ გამოიხატება ისეთ კინაღამ ისტერიკულ ფორმებში, როგორც მეზობელი ხორვატებისა, მაგრამ სეპარატისტული მოძრაობა თავის დროზე იქაც გვარიანად ძლიერი იყო. იუგოსლავია რომ აფეთქდა, სლოვენია პირველი გაიქაჩა გასაქცევად და ბელგრადიდან ლიუბლიანისკენ უყოყმანოდ დაიძრნენ იუგოსლავიის სახალხო არმიის დივიზიები, მაგრამ ომი სულ 3 დღეს გაგრძელდა, მერე კი სერბებმა შეხედეს ალპებს და ეჰ, ერთი მაგათზე ძრომიალისაცო... და სლოვენია დამოუკიდებელი გახდა, ოღონდ თბილისი და ლიუბლიანა რომ დაძმობილდნენ, ის მანამდე იყო.

**დავით გულუა**



# სულხან-საბა სლოვენიურად:
## თავის გატეხვას სახელის არქონა სჯობს

**ალპები,** სხვა ქვეყნებთან ერთად, სლოვენიის ტერიტორიაზეც შეჭრილა და იქ კი, სადაც ალპებია, სამთო თხილამურობას მისდევენ. არა, სპორტის სხვა სახეობებიც არსებობს, მაგრამ სლოვენიელებს აქამდე საამაყოდ ოდენ ზამთრის სახეობებში მიღწეული წარმატებები ჰქონდათ. ახლა თხილამურობას ფეხბურთიც შეემატა, სლოვენიურმა ფეხბურთმა კი სულ რაღაც ათი წელია, რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა — ქვეყნის დამოუკიდებლობის კვალდაკვალ.

„მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა ჩვენი თავდაუზოგავი მუშაობის შედეგია და ამავდროულად იმის საბუთიცაა, რომ კეთილსინდისიერად ვიმუშავეთ" — უთქვამს ნაკრების თავკაცს სრეჩკო კატანეცს. შევნიშნოთ, რომ იტალიური „სამპდორიას" ყოფილი მცველი დღეს სლოვენიური ფეხბურთის სიმბოლოდ ალიქმება. სხვათა შორის, სრეჩკო კატანეცი ერთადერთი სლოვენიელია, იუგოსლავიის ნაკრების მაისურით მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ უთამაშია. ეს 1990 წელს მოხდა იტალიაში, იუგოსლავიის დაშლამდე.

„ვინ გაბედავს თქმას, რომ კორეა-იაპონიის საგზური შემთხვევით მოვიპოვეთ? — თვალების ბრიალით კითხულობს ზლატკო ზაჰოვიჩი — ორი წლის წინ, როცა ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშეთ, ეგებ ვინმემ თქვა კიდეც, მაგრამ ზედიზედ ორჯერ ასეთი რამეები შემთხვევით არ ხდება, ეს უკვე კანონზომიერებაა". გავიხსენოთ, რომ ზაჰოვიჩი ნაკრების საუკეთესო ბომბარდირია, თუმცა სწორედ მისი გაფუჭებული პენალტის ბრალიც იყო, ჩემპიონთა ლიგის წინა ფინალში „ვალენსია" „ბაიერნთან" რომ დამარცხდა. ახლა ზაჰოვიჩი პორტუგალიურ „ბენფიკაში" თამაშობს. ისე კი, მიუხედავად ამ ფეხბურთელის საგოლე ალღოსი, კატანეცი თამაშს მასზე არ აწყობს და, ალბათ, მართალიცაა — სლოვენიის ნაკრების ძალა ხომ გუნდური თამაშშია, რაც რუმინეთთან პლეი ოფშიც კარგად გამოჩნდა.

სრეჩკო კატანეცი: „ხშირად მეუბნებიან, ზაჰოვიჩის უგულებელყოფა შარს გადაგყრისო, თუმცა გუნდის თამაშს ეს არ ეტყობა და ამიტომაც ამგვარი გაფრთხილებების არ მეშინია".

პლეი ოფის პირველ მატჩში, შინ 2:1 მოგების შემდეგ სლოვენიელებმა სტუმრად ფრე, 1:1 გაახერხეს რუმინეთთან და იმ ერთი გოლის გამო, მისი, ავტორი პორტსმუთელი მლადენ რუდონია ქვეყნის წლის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს. „საუკეთესოდ დასახელება ნაკრების თითოეულ ფეხბურთელს თანაბრად ეკუთვნოდა, ჩვენ ხომ ყველანი ერთად გავედით მსოფლიოს ჩემპიონატზე" — თქვა მაშინ რუდონიამ.

ისევ კატანეცი: „მე არ ვიცოდი, დავამარცხებდით თუ არა რუმინეთს, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ მოგება შეგვეძლო". სანამ ახალგაზრდა მწვრთნელი ამას იტყოდა, იქამდე კარგა ხნით ადრე უკვე დასდგომოდა გადაბირების მოსურნე კლუბთა რიგი.

„მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა თავისთავად იმხელა სიხარული იყო, რომ ერთ ხანს უშუალოდ ჩემპიონატისთვის მზადებაც დაგვავიწყდა, იმ მომენტში მიზანი მიღწეულად ჩავთვალეთ — განაგრძობს კატანეცი — მაგრამ ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე, დავფიქრდით, რაკი ამდენს მივაღწიეთ, ეგებ კიდევ გაგვეგრძელებინა? ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტის მიღწევა რატომ არ უნდა ვცადოთ. სლოვენია ახლა პატივსაცემი და ანგარიშგასაწევი ევროპული გუნდია".

და მართლაც, შესარჩევ ეტაპზე სლოვენიელები არ დამარცხდნენ რუსეთთან, იუგოსლავიასთან, შვეიცარიასთან, რუმინეთთან... მოკლედ, ცდა შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, მათმა მეზობელმა ხორვატიამ წინა მუნდიალზე ხომ ნახევარფინალს უწია.

მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება, მაგრამ ჯერ არც იმდენად ახლოსაა, მწვრთნელი კორეა-იაპონიაში წასაყვანი ოცდაორი ფეხბურთელის დასახელებას ჩქარობდეს. შესაძლოა, კიდევ გამოჩნდეს ახალი სახეები, თუმცა ნაკრების ბირთვი დიდი ხანია შეკრულა და მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. ბირთვს კი ესენი შეადგენენ:

*მეკარეები:* *მლადენ დაბანოვიჩი (ლოკერენი, ბელგია), დეიან ნემეცი (ბრიუგე, ბელგია), მარკო სიმეუნოვიჩი (მარიბორი);*

*მცველები:* *მარინკო გალიჩი (ველენიე), ხაახოიე ბულაიჩი (კიოლნი, გერმანია), მუამერ ვუგდალიჩი (შახტარი, უკრაინა), ჟელკო მილინოვიჩი (ჯეფ იუნაიტედი, იაპონია);*

*ნახევარმცველები:* *მილენკო აჩიმოვიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), საშო გაიზერი (გენტი, ბელგია), ალეშ ჩეჰი (გრაცერი, ავსტრია), ამირ კარიჩი (იფსვიჩი, ინგლისი), მირან პავლინი (პორტუ, პორტუგალია), ჯონი ნოვაკი (უნტერჰახინგი, გერმანია), ზორან პავლოვიჩი (აუსტრია, ავსტრია), ზლატკო ზაჰოვიჩი (ბენფიკა, პორტუგალია), რაიკო ტავკარი (ნიურნბერგი, გერმანია);*

*თავდამსხმელები:* *სებასტიან ციმეროტიჩი (ლეჩე, იტალია), მლადენ რუდონია (პორტსმუთი, ინგლისი), მილან ოსტერცი (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი).*

შენიშნავდით, სლოვენიის ნაკრებში მჟღერალა სახელებს ყურს ვერ მოჰკრავთ. აქ არ არიან კლუივერტისა თუ ვან ნისტელროის დონის კაშკაშა ვარსკვლავები, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, ვინ ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე და ვინ ვერა.

***გია ისიანი („დინამოს" უსაფრთხოების ოფიცერი):*** „დინამოს" გულშემატკივართა რაოდენობა დღით-დღე იზრდება. მათ ოჯახი ვუქირავეთ, ტელევიზორით, ფაქსით უზრუნველყავით და ყველანაირ პირობას ვუქმნით. „ტორპედოსთან" მატჩისთვის ორი ავტობუსი დავიქირავეთ, სტადიონზე შესასვლელი 85 ბილეთი დავჯავშნეთ და გზად ორი პოლიციელიც გავიყოლეთ, რადგან ქუთაისთან დაკავშირებით მწარე გამოცდილება აქამდეც გვქონდა. ჩვენები ენერგიულად ქომაგობდნენ „დინამოს" — დოლებით, საყვირებით. ხმაშეწყობილად ამხნევებდნენ თავის გუნდს. როგორც ჩანს, ჩვენი ორგანიზებულობა ვერ აიტანეს მასპინძელთა ფანებმა. პირველი არეულობა მას შემდეგ დაიწყო, როცა ფეხბურთელები წაკინკლავდნენ მოედანზე. ქუთაისელებმა დინამოელებს გინება დაუწყეს, რასაც ჩვენების სათანადო რეაგირება მოჰყვა. მერე მასპინძლები ქვების სროლაზე გადავიდნენ. ერთ-ერთის ნასროლი ქვა მეც მომხვდა თავში. ქვების სროლა და გინება არ წყდებოდა. საქმეში პოლიცია ჩაერია. თუმც ამას ხასიკეთო არაფერი მოჰყოლია ჩვენთვის. ჩვენს მიერ გადაღებულ ფირზე ნათლად ჩანს, თუ როგორ ტოვებს ერთ-ერთი თბილისელი სტადიონს, გასასვლელში კი პოლიციელი მას წიხლს აყოლებს. ქუთაისელი პოლიციელები რამდენიმე თბილისელ ფანს ხელკეტებითაც გაუსწორდნენ, მათ შორის გოგონებიც იყვნენ. პოლიციას უპრობლემოდ შეეძლო ვითარების განმუხტვა. მათ უნდა გადაეკეტათ ჩვენების ტრიბუნასთან მისასვლელი და ქუთაისელები ქვის სასროლ მანძილზე არ მიეშვათ, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა.

ჩვენს მიერ ნაქირავებ ავტობუსების მინები ჩალეწილია. მძღოლები 5 000 ლარს გვთხოვენ. სტადიონის მისადგომებიდან გამოსულ ავტობუსებს იქაურები გამოეკიდნენ და ქვები დაუშინეს, ნამსხვრევები სალონში ცვიოდა და ზოგიერთი დაშავდა კიდეც. თამაშის შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები „ტორპედოს" ავტობუსით გამოვიდნენ სტადიონიდან, რადგან იმის გარანტია არ იყო, რომ „დინამოს" ავტობუსი უვნებელი გამოაღწევდა „ტორპედოდან", ამიტომ ის სალორიის ბაზაზე დავტოვეთ წინასწარ.

***ვლადიმერ გუცაევი („ტორპედოს" მენეჯერი):*** ფაქტია, ცუდი რამ მოხდა...

იყო პერიოდი, როდესაც „დინამო" უძლეველი იყო, მაგრამ ქუთაისში ხალხმა სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი და შედეგიც სახეზეა „ტორპედო" ზედიზედ ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ჩვენს სტადიონზე ყველა მატჩზე მრავლად მოდის მაყურებელი, 10 მარტის ინციდენტში კატასტროფული არაფერი ყოფილა. ფანობის ტალღა ახალი აგორებულია ჩვენში და ქომაგები და პოლიციელები ამ სიტუაციას ჯერაც მიუჩვეველნი არიან. მცირე გამოცდილება მაინც რომ ყოფილიყო, იმ დღეს „ტორპედოზე" არც არაფერი მოხდებოდა — პოლიცია დროულად, უმტკივნეულოდ განმუხტავდა სიტუაციას... უშუქო, უგაზო, უწყლო ქუთაისს ფეხბურთს ნუ ავუკრძალავთ. დღევანდელ ცხოვრებაზე გულდამძიმებული ხალხი სტადიონზე დადის დარდის გასაქარვებლად და ნუ მოვუსპობთ მათ ამ შანსს.

აი, ასეთი განცხადებების მოსმენა მოუხდათ გუშინ დისციპლინარებს. გადაწყვეტილების მიღების წინ გია ისიანმა სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარეს და წევრებს ის სამი მოთხოვნა გააცნო, რომელიც „დინამომ" „ტორპედოს" წაუყენა. თბილისელთა სარჩელი ასეთია: 1. „ტორპედომ" სრულად დაფაროს ავტობუსების შესაკეთებელი ხარჯები. 2. „ტორპედო" — „დინამო" მომავალში ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდეს და ასე გაგრძელდეს მანამ, სანამ ქუთაისელები საშინაო მატჩების ჩატარების უსაფრთხოების დამაჯერებელ არგუმენტებს არ წარმოგვიდგენენ. 3. მოვითხოვთ ოფიციალურ ბოდიშს მიყენებული მორალური ზარალისთვის.

დისციპლინარებს გადაწყვეტილების მიღების წინ დიდი ხვა-ბაასი არ ჰქონიათ. მეტიც, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ყველაფერი წინდაწინ, სხდომამდე იყო გადაწყვეტილი.

ვერდიქტი კი სასაცილო გამოდგა, სატირალი რომ არ იყოს. „ტორპედო" პირველი ეტაპის მეორე წრის ბოლომდე დასაჯეს პირობითი დისკვალიფიკაციით. რა გამოდის? ქუთაისელები ერთი მატჩით დასაჯეს პირობითად დისციპლინარებმა, რადგან სწორედ ერთი საშინაო შეხვედრა დარჩათ რიონისპირელებს გასამართი მეორე ეტაპამდე. ძალიანაც რომ მოინდომონ დისციპლინარებმა, ჩემპიონატის დებულების ვერც ერთი მუხლით ვერ დაამტკიცებენ ამ ვერდიქტის სამართლიანობას. იმის თქმაც არ დაგვავიწყდეს, რომ „ტორპედოს" ჯარიმად 500 ლარიც გამოუწერეს, რაც ყურის აწევის ტოლფასიც არაა ქუთაისელთათვის. ცნობისთვის, 500 ლარის გადახდა მოუხდათ არცთუ დიდი ხნის წინ ბოლნისელებსაც, ერთადერთი პლასტიკატის ბოთლი რომ გადაუგორდათ მოედანზე.

ფედერაციას ერთობ დიდი საშწუხრო ჰყავს და მის სადისციპლინო კომიტეტს (მით უმეტეს, საზოგადოებრივ საწყისებზე მყოფს) ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება არ ჰქონდა, მით უფრო, რომ მსგავსი პრეცედენტების გამოცდილება იყო და დისციპლინარებს მკაცრადაც ჰყავდათ დასჯილი სფფ-ის „შვილები", „ტორპედოს" ფონზე დღეს „გერებად" რომ მოჩანან.

ამით იმის თქმა არ მსურს, რომ „დინამოს" ფანები უბრალონი არიან მომხდარში. მათი „უწყინარობის" მაგალითი აქამდეც გვქონია. კომინიოუში „ზიმბრუ" — „დინამოს" საუეფო მატჩზე ქართველთა ზღვარგადასულმა, გამომწვევმა ჟესტებმა მწვანე ვაშლები ასროლინეს მასპინძლებს. მაგრამ ვაშლები მოლდოველებმა ესროლეს ქართველებს. საგანგაშო კი ის არის, რომ საქართველოში ქართველი ქართველს ქვებს ესვრის და ამის მიზეზი არა მგონია, „ფანობის ახალი ტალღა" და გამოუცდელობა იყოს. ყოველივეს ცოტა სხვა სახელი ჰქვია და სამწუხაროა, რომ სადისციპლინო კომიტეტმა გუშინ ამაზე სათანადო რეაგირება არ მოახდინა. თუმც არის კი რამე ჩვენში საკვირველი? უდროო დროს დანდობის, მიტევების, თვალის დახუჭვის და თავზე ხელის გადასმის ქვეყანაში ვცხოვრობთ, იმიტომაც გვჯერა ეს ქვეყანა თავზეადრე თუ გვაქვს სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელი გადაწყვეტილება ბუმერანგივით დაუბრუნდება ქართულ ფეხბურთს. ჰოდა, გვეშინოდეს მომავლის...

**ბაატა ძგანტალიანი**



სადისციპლინო კომიტეტმა „ტორპედოს" ერთმატჩიანი პირობითი დისკვალიფიკაცია და 500 ლარი აჰმარა

---

# ნეკი ნეკისა
## ბერმუდის სამკუთხედი ქართულად





*10 მარტს „ტორპედო" — „დინამოს" მატჩს რომ მეტოქე გუნდების გულშემატკივართა ჩხუბი, „დინამოს" ფანების გალახვა და სტადიონიდან გაძევება, სტუმართა ავტობუსისთვის მინების ჩამსხვრევა, გინება, ფურთხება, სკამების დამტვრევა და ქვების სროლა მოჰყვა, მონელებული ამბავია. ყოველ შემთხვევაში, გუშინ, დილის ბაზაზე „დინამოს" მიერ მოწყობილი პრესკონფერენციის ერთობ რბილი, მშვიდი და შემრიგებლური ტონი ცხადზე ცხადი იყო.*

*ჟურნალისტების წინაშე „დინამოს" აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა, პრესატაშე დავით ერაძე და ფანკლუბის პრეზიდენტი ლევან ლაშხაშიძე წარდგნენ.*

***გია ფირცხალავა:*** სამწუხარო ფაქტის მომსწრენი გავხდით. მომავალშიც გველის რთული მატჩები და მოვითხოვთ იმ პირობების შესრულებას, რომლებიც უეფას და სფფ-ის დებულებით არის გათვალისწინებული. თბილისის „დინამოს" საშინაო მატჩებზე მსგავს ექსცესები არასდროს მომხდარა.

ქუთაისში „ტორპედო" — „დინამოს" ამასწინანდელი შეხვედრისას პირველ ტაიმში „დინამოს" გულშემატკივრები სტადიონიდან გაიყვანეს ანუ საშუალება არ მისცეს, ბოლომდე დასწრებოდნენ მატჩს. ყველაფერ ამის გამო გამოვთქვამთ შეშფოთებას.

***დავით ერაძე:*** მიუხედავად ქუთაისში მომხდარი ინციდენტისა, თბილისის „დინამოს" გულშემატკივრები კვლავ დაესწრებიან გუნდის გასვლით თამაშებს.

***ლევან ლაშხაშიძე:*** „დინამოს" გულშემატკივართა კავშირი იმიტომ შევქმენით, რომ საყვარელ გუნდს მხარი დავუჭიროთ და არა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენოთ. ჩვენ არანაირ შუღლს არ ვაღვივებთ. ჩამოვიდნენ ქუთაისელი გულშემატკივრები თბილისში და დაუჭერონ მხარი „ტორპედოს" — ჩვენ მათ ხმებს მხოლოდ ჩვენი ხმებით გადავფარავთ. ისე კი, ქუთაისიდან ქვებით შეშინებულები არ წამოვსულვართ.

არ იყო სწორი, ქუთაისში სტადიონი რომ დაგვატოვებინეს. ბილეთები შევიძინეთ, მაგრამ ჩვენი, მაყურებლის უფლებები დაირღვა. კარგი იქნება, თუ მომავალში ეს აღარ განმეორდება.

***გია ფირცხალავა:*** ჩვენ ყველანი ქართველები ვართ და ფეხბურთის გულისათვის ერთმანეთს რომ გადავეკიდოთ, გამორიცხულია. აქ საქმე მხოლოდ სპორტულ პრინციპთან გვაქვს.

აუცილებელია, რომ ნებისმიერ მატჩს ემსახურებოდეს უსაფრთხოების ოფიცერი ანუ ისეთი პირი, ვინც კონკრეტულად იქნება პასუხისმგებელი უსაფრთხოებაზე. დაპირისპირებაზე ლაპარაკი კი სწორად არ მიმაჩნია. გარანტიას ვიძლევით, მეტოქე გუნდს და მის გულშემატკივრებს ისეთი პატივით დავუხვდებით, როგორც ეს თბილისის „დინამოს" შეშვენის.

არავის დასჯას არ მოვითხოვთ. უბრალოდ, მატჩების ორგანიზების მხრივ კლუბების ხელმძღვანელობის მიერ უფრო მეტი და სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი.

***დავით ერაძე:*** რაც შეეხება, „ტორპედოს" განცხადებას, რომ ქუთაისელ პოლიციელებს ხელკეტი არ ჰქონდათ, სინამდვილეს არ შეეფერება და ეს მატჩის ვიდეოჩანაწერშიც ნათლად ჩანს.

***გია ფირცხალავა:*** სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით კმაყოფილები ვართ. გიორგი ანჩაბაძეს საკითხიდან დაკავშირებით კი კლუბის კრება ჩატარდება.

***ლევან ლაშხაშიძე:*** სტადიონის სკამების დამტვრევას გვაბრალებენ, არადა, სკამები „ტორპედოს" გულშემატკივართა ნასროლმა ქვებმა დაამტვრია.

***გია ფირცხალავა:*** ჩვენი მხრიდან არანაირი პროვოკაცია არ ყოფილა. ინციდენტი იმან გამოიწვია, რომ სტუმართა ფანები უფრო კარგად გულშემატკივრობდნენ თავიანთ გუნდს.

***ლევან ლაშხაშიძე:*** რომ ამბობენ, „დინამოს" ფანები მთვრალები იყვნენო, წავეყვანეთ იქვე გასასინჯად და ყველაფერი ამით დამტკიცდებოდა, ახლა კი ასეთ ბრალდებას არანაირი საფუძველი არ გააჩნია. გამოდის, ისინი იყვნენ ფხიზლები, ვინც გამოგვეკიდნენ, ქვები დაგვიშინეს, ხოლო ჩვენ მთვრალები.

***გია ფირცხალავა:*** რაც შეეხება რევაზ ძოძუაშვილს გამონათქვამს, თითქმის მთელი „დინამო" იგინებოდაო, ასეთ დროს მთავარი სიტყვა მატჩის არბიტრს ეკუთვნის. მე კი ამის შესახებ კომენტარს ვერ გავაკეთებ.

**დავით თავართქილაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

ბათუმი, 13 მარტი

**ბასკო 91:65 თსუ**

23:12, 21:16, 18:23, 29:14

**ბასკო:** როჯერსი (11), ტუუზანი (10), თორთლაძე (13), ბეჟანიშვილი (6), საყვარელიძე (4), არზიპოვი (2), მ. მარკოიშვილი (15), ბერძენიშვილი (10), ორმოცაძე (6), იმნაძე, დოლანი (15)

**თსუ:** ხეცურიანი (2), ნიკოლაძე (28), ვეფხვაძე (6), კილაძე (6), გ. მარკოიშვილი (10), მუშკუდიანი (8), ახალკაცი (2), შანიძე (3)

**მსაჯები:** როლანდ გელოვანი, ზურაბ აბაშიძე

**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე



გუშინ ბათუმში. „ბასკო" — თსუ. თბილისელები ბათუმელთა ამერიკელმა ჯეფრი როჯერსმაც გვარიანად გააწვალა

დღეს ექვსეულსმილმა დარჩენილები და უმაღლეს ლიგაში თამაშის მოსურნე „კალათბურთის აკადემია", „მაკაბი 2" და „სამედიცინო უნივერსიტეტი" ელიტაში მოსახვედრი სამი საგზურისთვის შეებმებიან.

თუმცა უფრო მნიშვნელოვანი სხვა ამბავია: დღეს „შევარდენი" — „აკადემიის" მატჩში, ქართული კალათბურთის ისტორიაში პირველად, მოედანზე მამა-შვილი ითამაშებს. მსოფლიოს ერთადერთი ჩვენებური ჩემპიონი ნიკოლოზ დერიუგინი, თავის შვილთან, ნიკასთან ერთად კალათბურთის აკადემიის გუნდისთვის გაირჯება.

მაგრამ არც ესაა ყველაფერი. როგორც ნიკოლოზ დერიუგინმა „სარბიელს" უთხრა, მისი კალათბურთში დაბრუნება დროებითია და იმ საქმეს ემსახურება, რომელმაც თბილისში მსოფლიოს ვარსკვლავები უნდა ჩამოიყვანოს.

# მე თქვენ განახებთ საბონისს

— ზაფხულში თბილისში გაიმართება ჩემი კალათბურთთან გამოსათხოვარი მატჩი და აკადემიის გუნდში თამაში ამ შეხვედრისთვის მომზადებაა და მეტი არაფერი.

**— კონკრეტულად რა მატჩი იქნება, ვინ ჩამოვა და როდის გაიმართება?**

— ჯერ გეტყვით, რომ 2002 წელს რამდენიმე საამაყო თარიღი ემთხვევა. დავიწყოთ თბილისის „დინამოთი", რომელმაც 40 წლის წინ ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო, შემდეგ 30 წლის წინანდელი ამბავი, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მიუნხენში ოლიმპიადაზე ოქროს მედლები დაისაკუთრა და 1982 წელი — საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში მეც გახლდით, მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. როგორც ხედავთ, მნიშვნელოვანი თარიღებია და სწორედ ამას დაამთხვიეს ჩემი გასაცილებელი მატჩიც.

**— ორგანიზატორები ვინ არიან?**

— საქართველოს კალათბურთის ფედერაცია, რა თქმა უნდა, სპონსორთა დახმარებით. აბა, წარმოიდგინეთ, დაახლოებით ოც ისეთ ადამიანს ველით, რომელთა გვარ-სახელებიც მთელი საქართველოსა და ევროპისთვისაა ცნობილი.

დაგეგმილია 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და ძველი თბილისის „დინამოს" შეხვედრა. სტუმრად შეგულებულებს უკვე გავგზავნათ შეტყობინება და უკლებლივ ყველასგან მივიღეთ პასუხი, სადაც მისი გამართვის თარიღს კითხულობენ. დაგისახელებთ მათ, ვისთანაც უკვე დავამყარეთ კონტაქტი. რა თქმა უნდა, ჩემი და ყველას უპირველესი სურვილია არვიდას საბონისის ჩამოსვლა. მას ვესაუბრე და თანხმობა მივიღე. ბოლოს „საბამ" ხუმრობით მითხრა, ხან ამერიკაში ვარ, ხან ესპანეთში და ხანაც ლიტვაში, ივნისამდე ჯერ საკმაო დროა და თუ ავიაკატასტროფაში არ მოვყევი, თბილისში აუცილებლად ჩამოვალო. მის გარდა ველით კურტინაიტისს, მარჩულიონისს, მიგლინიეკსს, ვალტერსს, სოოკს, იოვაიშას, ვოლკოვს, სალნიკოვს, ბელოსტენოის, ტკაჩენკოს, ტარაკანოვს, მიშკინს, ლოპატოვს, ბირიუკოვს და, რაღა თქმა უნდა, იმ ნაკრების „მამას", ალექსანდრე გომელსკის.



ნიკოლოზ დერიუგინმა საქართველოს ჩემპიონატი გაიხსენა

დინამოელთაგან ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, ვინ ითამაშებს, მაგრამ სავარაუდოდ ესენი იქნებიან: ლარსაძე, გურასპაული, სანაძე, ნოდარ ქორქია, ჩიხლაძე, გულდედავა. ძალიან მინდა, ბესო ლიპარტელიანმაც ითამაშოს, მაგრამ...

**— თქვენ ის ხალხი ჩამოთვალეთ, ვისთანაც თამაშის დიდი გამოცდილება გაქვთ. რომელ გუნდში ვიხილავთ ნიკოლოზ დერიუგინს?**

— ალბათ, „დინამოში", თუმც გამორიცხული არაა, ერთი ტაიმი ერთ გუნდში ვითამაშო, მეორე — მეორეში.

**— ალბათ, არ გაგიჭირდებათ „აკადემიის" უმაღლეს ლიგაში აღზევება...**

— მართალი გითხრათ, ვერ გეტყვით. ჩემთვის ძნელი იყო ამ გადაწყვეტილების მიღება. მათ, ვინც კალათბურთიდან შორს დგას, შეიძლება იფიქრონ, ასეთ მოხუცს მოედანზე რა ესაქმებაო, მაგრამ, ჯერ ერთი, საშუალო დონეზე თამაშის ძალა კიდევ შემწევს და მთავარი: ამით იმ ოცნებას ავიხდენ, რასაც ჩემს შვილთან თამაში ჰქვია.

ამ ამბავს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარეც აქვს. როგორც იცით, მე ამჟამად მწვრთნელი ვარ და ვიცი, რა მნიშვნელობა აქვს ჭაბუკებისთვის ცნობილ კალათბურთელთან თამაშს. აკადემიის გუნდი, და არა მარტო ის, ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული, ისინი ჩემთან და ჩემს წინააღმდეგ გაორმაგებული მონდომებით ითამაშებენ, რაც კალათბურთელად ჩამოყალიბებაში დიდ დახმარებას გაუწევს.

**— თუ თქვენ და „აკადემია" უმაღლეს ლიგაში გადახვედით, ახალგაზრდებს მაშინ უფრო არ დასჭირდებათ თქვენი მხარდაჭერა?**

— მოგიხვდით... გადაწყვეტილი მაქვს, თამაშს საბოლოოდ გამოვეთხოვო, მაგრამ ვინ იცის, რა მოხდება...

**ირაკლი ბერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დღეს გმირი ვინ იქნება?

## აგერ არ არიან ჯიმი, ვოფა, ქენდალი...

12 მარტი

**მაიამი 90:78 ფინიქსი**

**მაიამი:** სტრიკლენდი (20), ჯონსი (16), გილი, გრანტი (14), მურნინგი (13); ჯეჯ ჭონი (23), სტეფანია (19 წუთი, 4 ქულა, 7 მოხსნა, 1 დაფარება), კარტერი

**ფინიქსი:** მარბერი (19), ჯონსონი (18), მარიონი (12 ქულა, 13 მოხსნა), გულიოტა (2), ცაკალიდისი (8); მარლი (7), მარდეფი (6), აუთლოო (4), პალასიო (2), ვოსკული

თითქმის ყველა თამაშში „მაიამის" თორმეტკაცა შემადგენლობიდან მოიძებნება ვილაც გმირი. ამჯერად ეს როლი სათადარიგო ჯიმ ჯეკსონმა შეასრულა. „დიახ, ჯიმი დღის გმირია, ეს გამარჯვება მისი ნამუშევარია" — თანაგუნდელის გარჯას უფასებს „მაიამის" ზორბა ცენტრი ალონზო მურნინგი.

როდესაც პირველი ტაიმის დასასრულს მასპინძელთა ძირითად ფრთას ქენდალ გილს კოჭი და მუხლი ერთდროულად ეტკინა, მწვრთნელმა პატ რაილიმ გვერდით ჩამომჯდარ ჯეკსონს მათ წინ მორბენალთა შორის გარევა და ქულების გროვება უბრძანა. ჯეკსონმა მოსალოდნელზე და მონათხოვზე მეტი გააკეთა. ის, გილისგან განსხვავებით, უფრო შეტევაზე ორიენტირებული კალათბურთელია, მაგრამ რაილი სასიამოვნოდ გააოცა და 23 ქულის მოხვეჭასთან ერთად დაცვაშიც სხვებზე არანაკლებ ასარგებლა „მაიამი".

„ნებისმიერ გუნდს სჭირდება ძირითადთა მეტ-ნაკლებად ტოლფასი ორი-სამი სათადარიგო მოთამაშე, რომელთა მოედანზე გამოჩენა თამაშს არ აურევს და მეტოქეს საქმეს არ გაუადვილებს. კარგი სათადარიგოთა სკამი კარგ გუნდს უკეთეს დიდ გუნდად ხდის, ჩვენ კარგი სათადარიგოთა სკამი გვაქვს." — ეს თქვა ჯეკსონმა ნამატჩევს და მართალია, ცოტა თავისქება გამოუვიდა, მაგრამ ზედმეტი არაფერი უთქვამს.

მივულოცოთ ვოვა სტეფანიას. მართალია, მისი გუშინწინდელი გარჯა განსაკუთრებულ ქებას არ იმსახურებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ NBA-ში მოხვედრილი და დამკვიდრებული პირველი ქართველი ნამდვილად დამკვიდრდა სახელგავარდნილი პატ რაილის გუნდში. ბოლო ხანს სტეფანიას სათამაშო დროის შესამჩნევი ზრდა ერთზე მეტყველებს: იგი ჩამოყალიბდა ისეთ მოთამაშედ, რომელთა სათადარიგოთა სკამზე ყოლაც ყველა კარგი გუნდისთვის აუცილებლად მიაჩნია ჯიმ ჯეკსონს და კალათბურთის თუნდაც მცირედ მცოდნე ყველა ადამიანს.

ბოლოს ვიტყვათ, რომ „მაიამი" კარგი გუნდია და ოფიციალურად კარგებში შესასვლელად ამ გამარჯვებით მოზრდილი ნაბიჯი გადადგა.

**ნიუ იორკი 96:104 ფილადელფია**

**ნიუ იორკი:** სპრიუელი (27), ჰიუსტონი (20)

**ფილადელფია:** აივერსონი (35), სნოუ (23)

**მილუოკი 110:81 ჩიკაგო**

**მილუოკი:** რედი (21), ალენი (20)

**ჩიკაგო:** როუზი (19)

**სან ანტონიო 98:84 მემფისი**

**სან ანტონიო:** დანკანი (23)

**მემფისი:** უილიამსი (18), გასოლი (17)

**ლეიკერსი 107:66 შარლოტი**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (23), — ონილი (9)

**შარლოტი:** ვესლი (15)

**ჰიუსტონი 101:92 სიეტლი**

**ჰიუსტონი:** მობლი (38), ფრენსისი (16)

**სიეტლი:** პეიტონი (24), ბერი (20)

**ინდიანა 115:101 გოლდენ სტეიტი**

**ინდიანა:** კროშერი (19), ბენდერი (17)

**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (23), ფორტსონი (20)

**ირაკლი ფირცხვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 40 | 23 | 63,5 |
| ბოსტონი | 36 | 27 | 57,1 |
| ფილადელფია | 34 | 29 | 54,0 |
| ორლანდო | 33 | 30 | 52,4 |
| მაიამი | 29 | 33 | 46,8 |
| ვაშინგტონი | 29 | 34 | 46,0 |
| ნიუ იორკი | 23 | 39 | 37,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 35 | 26 | 57,4 |
| მილუოკი | 36 | 27 | 57,1 |
| ინდიანა | 32 | 32 | 50,0 |
| შარლოტი | 30 | 33 | 47,6 |
| ტორონტო | 30 | 36 | 45,5 |
| ატლანტა | 23 | 39 | 37,1 |
| კლივლენდი | 23 | 40 | 36,5 |
| ჩიკაგო | 16 | 49 | 24,6 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 45 | 18 | 71,4 |
| სან ანტონიო | 43 | 21 | 67,2 |
| მინესოტა | 40 | 23 | 63,5 |
| იუტა | 39 | 29 | 54,0 |
| ჰიუსტონი | 24 | 39 | 38,1 |
| დენვერი | 19 | 41 | 31,7 |
| მემფისი | 17 | 47 | 26,6 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 45 | 17 | 72,6 |
| ლეიკერსი | 44 | 18 | 71,0 |
| პორტლენდი | 38 | 25 | 60,3 |
| სიეტლი | 36 | 29 | 55,4 |
| კლიპერსი | 33 | 31 | 51,6 |
| ფინიქსი | 30 | 34 | 46,9 |
| გოლდენ სტეიტი | 17 | 45 | 27,4 |



ვლადიმერ სტეფანია „მაიამის" ფარქვეშეთში მეშობს


ემანუელე გალიარდი



ანდრე აგასი

# ჟუჟუნა ემა მოვიდა ღლავთა ღლაბუცი

**ინდიან უელსი. პარდი ქალები. საპრიზო 2,1 მილიონი $**

**მეოთხედფინალი**

**ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) — ანა სმაშნოვა (ისრაელი) 6:2, 6:4; დანიელა პანტუჩოვა (18, სლოვაკეთი) — ლიზა რეიმონდი (12, აშშ) 6:4, 6:2**

ზეპურ მლერთა ხეივანში ემანუელე გალიარდი უკვე რვა წელია მომოდის, მაგრამ ჩოგბურთის სტაჟიან ქომაგს რომ ჰკითხოთ, მის სახელოვან გამარჯვებებზე მეტად ჟუჟუნა და მოლაჟვარდე თვალებს უფრო გაიხსენებს. ეს მისი ცუდი მეხსიერების ბრალი სულაც არ იქნება — გუშინდლამდე ემანუელეს ერთი ტურნირი რაა, იმის ნახევარფინალამდეც კი არ მიუღწევია.

აი, გუშინ კი საშველი ამ საქმესაც დაადგა და მსოფლიოში 70-ე ჩოგნის მჭნეველმა ალპელმა ქალმა თავის ჯავარიანი თვალებით ინდიან უელსის საუკეთესო ოთხეულში შეანათა.

წლეულს ორი ისე-რა ტიტულის მომგებმა ანა სმაშნოვამ მის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო, ორსავე სეტში თავისი პირველი გეიმები ულრტვინველად ჩააბარა და თამაშიც ნება-ნება ჩააკამაცკამაცებინა.

ნამატჩევს გალიარდიმ მეტოქეს სიაფანდი კომპლიმენტები მიუძღვნა, მაგრამ ანას, კარგი, ერთი, ნუ მალადავებო, აი, ეგრე ქალაქურად უპასუხია.

ხოლო თუკი გუშინ ვინმე კომპლიმენტებს იმსახურებდა, ეგ 18 წლის გაწრიპულ სლოვაკი დანიელა პანტუჩოვა გახლდათ, ვინაც წინა წრეში მესამე ნომრად განთესილი ჟუსტინ ენენის გაბუნძულებას მეთორმეტედ განთესილი ლიზა რეიმონდის გაძევებაც დაურთო. მართალია, სლავს ბრწყინვალედ არ უთამაშია, მაგრამ ღრანცულა ამერიკელის მოსათელად მხოლოდ 70 წუთი დასჭირდა. „თითოეული ქულისთვის გოფივით ვიბრძოლე და, თუმცა ლიზი ჩემზე გამოცდილი ქალია, ერთი წამითაც არ დამიეჭვებია, რომ დღეს მე უნდა მომეგო" — თქვა მან ნამატჩევს. ისე, გამოცდილებაზე თუ მიდგა საქმე, მთლად გაუხედნი არც დანიელა გეგონოთ — ქალთა ამქარში იგი უკვე ორი წელია, ირევა და ავსტრალიისა და უიმბლდონის პირველობებზე შერეულთა წყვილებშიც გაჩემპიონებულა!

**კაცები. საპრიზო 2,95 მილიონი $**

**გრეგ რუზედსკი (ბრიტანეთი) — ხუან კარლოს ფერერო (3, ესპანეთი) 6:4, 6:3; მიხაელ კრატოჩვილი (შვეიცარია) — ანდრე აგასი (4, აშშ) 7:5 (7:5), 7:6 (8:6); ტომი ჰაასი (5, გერმანია) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:3, 7:5; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — სებასტიან გროჟანი (6, საფრანგეთი) 6:3, 4:6, 7:5; ირჟი ნოვაკი (13, ჩეხეთი) — ოლივერ როში (ბელგია) 7:5, 5:7, 6:2; კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — ნიკოლას ლაპენტი (17, ეკვადორი) 6:2, 6:3; ფერნანდო გონსალესი (ჩილე) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 7:6, 6:2; ნიკოლას კიფერი (გერმანია) — ტეილორ დენტი (აშშ) 7:6 (7:3), 6:3; ტოდ მარტინი (აშშ) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 6:4, 7:6 (7:4); რაინერ შიუტლერი (გერმანია) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:2, 6:4; ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 3:6, 6:3, 6:2; პარადორნ სრიჩაფანი (ტაილანდი) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:4, 2:6, 6:3; როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:7 (5:7), 7:6 (7:3), 6:3; ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) — მაქს მირნი (ბელარუსი) 4:6, 6:2, 7:5; მარსელო რიოსი (ჩილე) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 7:6 (7:5), 7:5; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:4, 3:6, 6:3**

კვირას სკოტსდეილში მოგებულ 50-ე საკარიერო ფინალსა და ინდიან უელსის საპირველწრეო შეხვედრას შორის ანდრე აგასის მხოლოდ 48 საათი ჰქონდა. არავინ იცის, რაში და როგორ დახარჯა მან ეს დრო, მაგრამ მიხაელ კრატოხვილთან გუშინდელ შეხვედრაში იგი აშკარად გადაღლილად გამოიყურებოდა.

შვეიცარიელმა თავისი ჯერაც არაფრისმთქმელი კარიერის მართლაც საუკეთესო მატჩი ჩაათამაშა, ხოლო 31 წლის ჯადო-ანდრანიკი ტაიბრეიკებზე ჩაუქი თამაშით არც აქამდე გამოირჩეოდა და ამ გადაღლილზე ხომ საერთოდაც ვერ ივარგა.

ასე და ამგვარად, ტურნირი შარშანდელი ჩემპიონის გარეშე დარჩა. ეგ არაფერი, უთქვამს ლასვეგასელ არმენოამერიკელს, იქითა კვირიდან კიბისკეინში რომ ბობოლა ტურნირი იწყება, ამით იხტში იქ ამოვალთო. სხვათა შორის, იგი იქაც შარშან მოგებული ტიტულის დაცვას ეცდება.

სხვაფრივ — განთესილთა შორის ანდრეზე უფრო დიდი ღლავი ბრიტანელმა გრეგ რუზეცკიმ დაიჭირა. წლეულს კაი ფინაჩად მოთამაშე ხუან კარლოს ფერეროს მან 16 ეისითა და უკანახაზიდან აუღელვებელი ხათქუნით სულ ბდღვირი ადინა და, ეს უკვე მერამდენე ტურნირია, ჩოგანი დროზე ადრე დააშალითებინა. „ბოლო სამი კვირის განმავლობაში გრიპმა გამტანჯა, მაგრამ ახლა კარგად ვარ" და ასე შემდეგო — დაუძენია ბრიტანელს.

ცნობილი ბებრებიდან კვლავ ჩაისვარა მაიკლ ჩანგმა, რომელიც მსოფლიოში 68-ე ტაილანდელ პარადორნ სრიჩაფანთან დამარცხდა. წლეულს ამა თუ იმ ტურნირზე ნათამაშები 7 საპირველწრეო მატჩიდან ჩანგმა მხოლოდ ერთის მოგება შეიძლო.

სამაგიეროდ იმარჯვა მარსელო რიოსმა, ვინაც მზარდი თუ ეგრემც გაუზრდელი ხორვატი ივან ლიუბიჩიჩი აოტა.

გამოყოფას უცილოდ იმსახურებს ამ 10-ოდე დღის წინ დუბაიში ნახეირები ფაბრის სანტოროს მიერ თანამემამულე გროჟანის მორევაც.

და კიდევ — ინდიან უელსში ვერ ითამაშა მასზედ მე-14 ნომრად განთესილმა გორან ივანიშევიჩმა, რომელსაც კვლავაც მხრის ტრავმამ უძლია. ხორვატის ადგილი არგენტინელმა საბალეტამ დაიკავა და უმალ… რაინერ შიუტლერისაგან იძლია.

**ლევან ძელაურაძე**


ენდი როდიკი

## ენდი როდიკს გრიპში ოცი ათასი გადააცხდევინეს

**ბიუჯეტი** გაერლვა და ამ დღეებში დელრეი ბიჩზე ფინალისტობისთვის მოპოვებული 30 ათასი დოლარიდან 20 ათასის ინდიან უელსელი მაჩვშებისთვის მიცემა მოუწევს ამერიკელ ენდი როდიკს. მიზეზი გრიპის ვირუსია, რომელმაც როდიკს დავიდე სანგვინეტისთან დელრეის ფინალიც წააგებინა და არც კალიფორნიაში ჩასვლის უფლება მისცა. იქაური წესების თანახმად კი მოთამაშემ 10 ათასი უნდა დაყაჩოს, თუკი ტურნირზე ჩასვლას ნაგვიანევად იუარებს და კიდევ 10 ათასი უნდა წაამატოს, თუკი იქ განთესილთა შორის მოიხსენიებოდა. ასე რომ, ერთი ქეციანი ვირუსი ნიჭიერ ყრმა ენდი როდიკს ჯამში 20 ათასი დოლარი დაუჯდა!



# ფორმულაზე დიდი რიგია კიევმაც ფეხი გამოჰყო

**საერთაშორისო** საავტომობილო ფედერაციას (FIA) კონსერვატულობას ნამდვილად ვერ დავწამებთ — თითქმის ყოველწლიურად ახალ-ახალ ღონისძიებებს ანხორციელებს პილოტთა უსაფრთხოების ისედაც მაღალი დონის სისტემის კიდევ უფრო დასახვეწად. თუმცა, ცხადია, ფედერაციის საქმიანობა მხოლოდ უხიფათობის პრობლემით როდი იფარგლება. არანაკლები ყურადღება ექცევა რბოლებზე მაყურებელთა მიზიდვის, ანუ შემოსავლის საკითხს.

ჰოდა, რაკი კვალიფიკაციის წინა დღის ვარჯიშს, თუნდაც ოფიციალურს, პრაქტიკულად კაციშვილი არ ესწრება, FIA-ს პრეზიდენტმა მაქს მოსლიმ იფიქრა, გუნდებს ისედაც გიგანტური ხარჯები რომ შევუმსუბუქოთ, მოდით, პარასკევის „თავისუფალი პრაქტიკა" გავაუქმოთ, თანაც ყოველ ეტაპზე გამოსაყენებელი ძრავების რიცხვიც მინიმუმამდე შევზღუდოთო. ეს კი არც ისე უმნიშვნელო შეღავათია, რადგან მოქმედი რეგლამენტით სარბოლო სამდლეულში საჯინიბოებს ათ-ათი ძრავის გამოყენების საშუალება აქვთ, თითოეული კი მთელი ქონება, კერძოდ, 260 ათასი დოლარი ღირს.

პრეზიდენტის ინიციატივა მაინცდამაინც არც ისე აუცილებელი პარასკევს გავარჯიშების თაობაზე ბევრს ჭკუაში დაუჯდა. მსოფლიოს ექსჩემპიონმა ჟაკ ვილნევმა კომენტარი არ დააყოვნა: „ორდღიანი უიქენდის იდეა შესანიშნავია, მაგრამ ეს თუ განხორციელდება, მაშინ უპრიანი იქნება, ყოველწლიურად 17-ის ნაცვლად, ვთქვათ, 25 ეტაპის ჩატარება. ამჟამად ჩვენ უამრავი დამღლელი ტესტი გვაქვს. ვფიქრობ, მშვენიერი ვარიანტია ზედიზედ სამი რბოლის მოწყობა, მერე კი ორკვირიანი უტესტო დასვენება. მეტი რბოლა და ნაკლები ტესტი იგივე კილომეტრაჟისა და დანახარჯებისას — ყველასთვის ხელსაყრელია, მათ შორის სპონსორებისთვის, რადგან ისინი შემოსავალს იღებენ არა ვარჯიშებისგან, არამედ უშუალოდ შეჯიბრების ტელეტრანსლაციისგან".

პრეზიდენტ-პილოტის ამ აზრს მოკლე ხანში ხორცი თუ შეესხა, პირველ რიგში ისინი იხეირებენ, ვისაც სამეფო რბოლების კალენდარში მოხვედრის რეალური პერსპექტივა აქვს. უპირველესად ესაა რუსეთი, რომელმაც FIA-სგან კარგა ხანია, მიიღო წინასწარი თანხმობა, როგორც კი მზად იქნება უკვე დაპროექტებული ულტრათანამედროვე ტრასა მოსკოვში, ნაგატინოს რაიონში, ერთ-ორ წელიწადში „რუსეთის დიდი პრიზის" ჩატარებას წინ არაფერი დაუდგება. ხლავების უკან კი უზარმაზარი რიგი გაიჭიმა. მოგეხსენებათ, საფორმულო ეტაპის მასპინძლობა ნებისმიერი ქვეყნისთვის პრესტიჟის გარდა ფინანსურადაც ძალიან მომგებიანი ღონისძიებაა. ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, თუ სამეფო რბოლების რუკაზე გაჩნდება ახალი ცენტრები — ჩინეთი, გვატემალა, ბაჰრეინი, თურქეთი (ადგილი ჯერ არ შეურჩევიათ), ზანდვოორტი (ჰოლანდია), სანქტ პეტერბურგი, კიევი…

**გია ახალაძე**


ბოლიდებს პარასკეობით საჭიროთოდ ალბათ აღარ გამოაგორებენ




# ტაისონმა ლიცენზია მიიღო

**კოლუმბიის** ოლქის ათლეტთა საქმეების კომისიამ საკრივო ლიცენზია გასცა მაიკ ტაისონის სახელზე. ამით ვაშინგტონელმა საკრივო ხელისუფლებმა ლენოქს ლუისთან საჩემპიონო ბრძოლის შანსი მისცეს გიჟმაჟ მაიკს, რომელიც თურმე კომისართა თათბირის შედეგებს გულისფანცქალით ელოდა. „ამ კაცებს ტაში დავუკარი. მათ ხალხს კრივი არ უნდოდეს, მე კი ლუისის ცემის შესაძლებლობა მომცეს", თქვა ტაისონმა.

ოლქელი კომისრები კი ახლა უკვე ლუისის ანკეტას ელიან. ამბობენ, რომ ბრძოლა ვაშინგტონის „ემსიაი სენთერში" გაიმართება 8 ივნისს. აქაურ საკრივო ავტორიტეტებს სურთ, რომ დიდი კრივი სწორედ დედაქალაქში გაიმართოს, ეს მივიწყებულ ტრადიციასაც აღადგენს და მილიონობით დოლარსაც მოიზიდავს. თუმცაღა კომისრებს მოწინააღმდეგეებიც მრავლად ჰყავთ: მაგალითად, ქალთა ორგანიზაციები, რომლებიც ღიდად ემტერებიან ტაისონს.

ამასობაში კი ტაისონს ასეთივე ლიცენზია მიუღია ტენესის შტატში, მინიგანიდან კი ღღედღეზე ელის პასუხს. დიდი ორთაბრძოლის მასპინძლობას კი უკვე იჩემებენ სამხრეთი კორეა, მაროკო, ბაჰამის კუნძულები, საბერძნეთი და მექსიკა.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრის ახალი მოწმობის მისაღებად მიმართეთ ასოციაციის ოფისს (რუსთაველის 42, ტელეფონი 99 08 22)**



[illegible] ფოტო

2000 წლის 2 აპრილი. თბილისი. საქართველო — რუმინეთი 20:23.

# გადაწყდა: 6 აპრილი

**გადამწყვეტილი** ამბავია: საქართველო — რუმინეთი ადრე დათქმული 7 აპრილის მაგივრად 6 აპრილს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს რაგბის კავშირმა თხოვნით მიმართა რუმინელებს, ეს მატჩი ერთი დღით დაწინაურებულიყო, რათა ქართველ ლეგიონერებს თავთავინთ კლუბებში დროულად დაბრუნება მოესწროთ. რუმინელები ყაბულს იყვნენ. შარშან ხომ თავად ითხოვეს იგივე და ქართველთაგან პრობლემა არ შექმნიათ. რაკი მეტოქეები მორიგდნენ, ბოლო სიტყვა FIRA-AER-ს ეთქმოდა. ევროპული რაგბის უფროსობამ საქმე არ გააჭიანურა და გუშინ ამ მატჩის 6 აპრილს გამართვაზე დასტური ფაქსით ამცნო საქართველოს რაგბის კავშირს.

ასე რომ, წლევანდელი ევროპის ერთა თასის ბოლო ტურის თბილისური მატჩი 6 აპრილს, შაბათს, ეროვნულ სტადიონზე გაიმართება და 3 საათზე დაიწყება. მანამდე ბორჯღალოსნები მადრიდში ჩავლენ და 24 მარტს მასპინძელ ესპანეთს დაუპირისპირდებიან.

**ბაჩო სვანიძე**

# ბრავო ბრივისგან

## უმცროსმა ბორჯღალოსნებმა უმცროსი ბრივი დაიბრიყვეს

**20-30 მარტს** იტალიაში გასამართ ჭაბუკთა მსოფლიოს თასისთვის საფრანგეთში ემზადება საქართველოს ნაკრები. უმცროსი ბორჯღალოსნები თავიდან ქალაქ ბრივში ჩავიდნენ, სადაც მშვენიერი პირობები ჰქონდათ ნორმალური ვარჯიშისთვის. მთავარი მწვრთნელი პაატა ნარიმანაშვილი დღეში ორჯერ ავარჯიშებდა შეგირდებს, გუშინწინ კი პირველი საკონტროლო მატჩიც ითამაშეს. ჩვენებურთა მეტოქე ტიტულიანი კლუბის „ბრივის" ახალგაზრდული გუნდი იყო. ნაკრების წევრ ანდრო ზედგინიძის თქმით, შეხვედრამ უშელავათო ბრძოლაში ჩაიარა და ქართველთა გამარჯვებით 31:27 დასრულდა.

გუშინ ნარიმანაშვილის სამწვრთნო ბრიგადან საფრანგეთის ცენტრში, მყუდრო ქალაქ ვილ ფრანშში გადაინაცვლა. ჩვენმა მორაგბეებმა გუშინაც ორჯერ ივარჯიშეს, დღეს კი „ვილ ფრანშის" ახალგაზრდებს გაეჯიბრებიან. ფრანგული კლუბის უფროსებს უთქვამთ, თუ ვინმე ქართველი თვალში მოგვივიდა, ერთწლიან სტაჟირებაზე მოვიწვევთო. ასე რომ, ჭაბუკებს ჩინებული შანსი აქვთ, ფრანგებს თავი მოაწონონ და კარიერა იქ გააგრძელონ.

საქართველოს ნაკრები გალების მიწაზე კიდევ ხუთ დღეს დაჰყოფს. ტრევიზოში კი, სადაც მსოფლიოს თასის ელიტარული ჯგუფის მატჩები უნდა ჩატარდეს, 19 მარტს ჩავლენ.

**ბაჩო სვანიძე**



# სლუცკაია ჩამედლეს და ჩააპროტესტეს

## 700 გრამ ოქროს რამდენი სხვა გრამიც მოჰყვებოდა...



REUTERS მოსკოვიდან

ირინა სლუცკაია „კუთვნილი" ოქროთი

**რუსთა** დუდღუნი სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე მათ წინააღმდეგ ჩადენილ უსამართლობათა გამო არახალია. ერთ-ერთი, ნაკლებად ხმაურიანი სკანდალი გახლდათ ფიგურული ციგურაობის ქალთა ერთეულებში ამერიკელი სარა ჰიუზის გამარჯვება, რომელსაც დღეს ქვეყნის ყველა კუთხეში დააპროწიალებენ და კამერა არ დარჩა, რომლის წინ კბილები არ გამოუჩენია. ოლიმპიადაზე რუსთა აზრს მოგახსენებთ, ირინა სლუცკაია მინიმუმ ჰიუზის ტოლა შეფასებას იმსახურებდა, თუ მეტს არა. აღძრული იყო პროტესტიც, მაგრამ იმასაც რუსთა ყველა სხვა პროტესტის ბედი ეწია — არ მიიღეს.

„ის დიდებული გოგოა, ქვეყნის სიამაყე" — განაცხადა ციმბირელმა ბიზნესმენმა ანტონ ბაკოვმა და სლუცკაიას მოსკოვში, წითელ მოედანზე 700-გრამიანი ოქროს მედალი ჩამოჰკიდა, იმათი ოქროს პატრონი დედაც და შენ რაც დაიმსახურე, იმას აგერ გაძლევო. ცერემონიალი გამოირჩა გრძნობათა სიუხვით და ბიზნესმენის სურვილით, სლუცკაია რაც შეიძლება მეტჯერ ამბორ-ეყო.

ნაირფერ პალტოში გამოწყობილ სლუცკაიას კმაყოფილება ეტყობოდა, ხოლო რადგან თხა თხაზე ნაკლები მგელმა უნდა შეჭამოს, ნიუ იორკის შტატის ქალაქ გრეიტ ნეკში მოგროვდნენ ჰიუზის მეგობრები (იქაურია) და გმირ თანაქალაქელს გიგანტური ოქროს მედალი აჩუქეს, რომლის დიამეტრი ნახევარ მეტრს არ ჩამოუვარდებოდა. სხვა საკითხია მედალში ოქროს პროცენტული შემადგენლობა. ცხადია, ბაკალო არ იქნება.

**დავით გულუა**



NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ეშმა, ეშმა!

12 მარტი

**ფინიქსი 3:1 ჩიკაგო 2:0 0:1 1:0**

**1:0 ბრირი (6), 2:0 მეი (15), 2:1 ნიულანდერი (38), 3:1 ჰანძუსი (60)**

ოთხ თვეზე მეტხანს იყო ფინიქსი ჩრდილში, მაგრამ ახლა ისე იფეთქა, გაცილებით უკეთ დაკომპლექტებული კონკურენტები გააწბილა და მეექვსე ადგილზეც ალზევდა დასავლეთში, რასაც, ალბათ, თავადაც არ ელოდა. უეინ გრეცკის გუნდმა, რომელმაც ზაფხულში დიდი საკადრო დანაკლისი განიცადა, ზედიზედ ხუთი საშინაო მატჩი მოიგო, პირველად კლუბის ისტორიაში. აქედან ბოლო, ჩიკაგოსთან მოპოვებული გამარჯვება ყველაზე მძიმე და აქედან გამომდინარე, ძვირფასი გამოდგა. ბოლო 11 თამაშში პირველად გამოჩენილმა რობერტ ეშმა (38 მოგერიება) საჭირო მომენტში საუკეთესოდ ითამაშა და სტუმრებს, რომლებიც გამუდმებით უტევდნენ, ერთ გოლზე მეტი არ გაატანინა. გადამწყვეტი შაიბა კი ბრედ მეის ანგარიშზეა (მას ბოლო 17 შეხვედრაში არ გაეტანა). „უდავოდ ეშმა მოგვაგებინა თამაში. დღეს გრიპის ეპიდემიის გამო ბევრი გვაკლდა და საკმაოდ გაგვიჭირდა" — აღიარა ფინიქსის თავკაცმა ბობ ფრენსისმა.

**ბუფალო 0:3 აილენდერსი 0:1 0:1 0:1**

**0:1 მილერი (18), 0:2 სკაზარდი (3,), 0:3 ბლეიკი (60)**

როგორც ჩანს, ლინდი რაფს კიდევ ერთი კრების ჩატარება მოუწევს. წინა ორშაბათს ედმონტონთან მარცხის შემდეგ დახურულ კარს მიღმა გამართული 35-წუთიანი ლანძღვა და ჭკუის სწავლება შეგირდებს ერთხანს ახსოვდათ. მას შემდეგ ბუფალომ ზედიზედ სამჯერ მოიგო, თანაც ბოლოს თვით დეტროიტს სძლია. ამჯერად კი მასპინძლები ძლივს დახოხავდნენ ყინულზე, მხოლოდ ბოლო წუთზელა გამოფხიზლდნენ, მუშტი-კრივსაც მიმართეს, მაგრამ რალა ეშველებოდათ, ერთი-ორი საგოლე მომენტი უკვე გაშვებული ჰქონდათ ხელიდან.

**ტორონტო 1:1 ფილადელფია 0:0 0:1 1:0 0:0**

**0:1 ლეკლერი (24), 1:1 რობერტსი (58)**

კორი შვების ბრწყინვალე თამაშმა ცოტა ხნით მაინც მიავიწყა ტორონტოს მესვეურთ, რომ გუნდს მთავარი საყრდენი, მეკარე კერტის ჯოზეფი გამოეცალა.

„ლუქოს" შემცვლელმა მინიმუმ შვიდჯერ იხსნა თავისიანები.

**ნეშვილი 0:5 ვანკუვერი 0:0 0:4 0:1**

**0:1 ჩუბაროვი (23), 0:2 ბერტუცი (30), 0:3 ბერტუცი (37), 0:4 მორისონი (39), 0:5 შ. სედინი (45)**

ვანკუვერს საგარეო ტურნე ჰქონდა და ამ მატჩის წინ მოულოდნელად მარკუს ნესლუნდი გამოაკლდა — მესამე შვილი შეეძინა და შინ გაბრუნდა. კანადელებმა არ დაიტყვეს, ჩემპიონატის მესამე ბომბარდირი რომ აკლდათ და იოლად გაუსწორდნენ მეტოქეს. ნესლუნდი კი ტოდ ბერტუციმ (2 გოლი და 2 პასი) ღირსეულად შეცვალა.

**მინესოტა 3:4 ოტავა 1:1 1:2 1:0 0:1**

**1:0 პარკი (8), 1:1 ბონკი (13), 2:1 ბრიუნეტი (23), 2:2 უაიტი (27), 2:3 ნილი (37), 3:3 დიუპუი (43), 3:4 არვედსონი (62)**

„ამის შემდეგ ოვერტაიმში მეკარეს მინდვრის მოთამაშედ გამოვიყვნებ" — ვითომ გაიხუმრა ნამატჩევს მინესოტას თავკაცმა ჟაკ ლემერმა და შიგ დიდი სევდა ჩააქსოვა. წლეულს ხომ მისმა შეგირდებმა 17 ოვერტაიმიდან ერთშიც ვერ მოიგეს.

**ატლანტა 4:4 ტამპა 3:1 1:1 0:2 0:0**

**1:0 ბარტეჩკო (1), 2:0 რომი (2), 2:1 ციბაკი (16), 3:1 პოტიე (19), 4:1 ბარტეჩკო (29), 4:2 ანდრეიჩუკი (30), 4:3 კლაიმერი (44), 4:4 ბოილი (49)**

**ვაშინგტონი 2:5 დალასი 1:2 0:1 1:2**

**0:1 სიდორი (9), 0:2 ლემტინენი (18), 1:2 ხრისტიჩი (19), 1:3 ზუბოვი (37), 2:3 კლი (50), 2:4 მოროუ (56), 2:5 მიულერი (60)**

მატჩის წინ დალასმა მარტინ რუჩინსკი გაცვალა, რომელსაც წინა დღეს 31 წელი შეუსრულდა. ჩეხმა ტეხასურ კლუბში სამი თვე ითამაშა, მაგრამ იმედი ვერ გაამართლა. მის ნაცვლად „ვარსკვლავებმა" რეინჯერსიდან მენი მალოტრა შეიმატეს.

**სამველ ღარიბიანი**



მსაჯებმა ჩიკაგოელი აარონ დაუნი (შავ ფორმაში) და ფინიქსელი ანდრეი ნაზაროვი ერთმანეთს ძლივს მოაგლიჯეს

# ნაბოკოვი ისტორიაში შემთხვევით შევიდა

სანხოსელი ევგენი ნაბოკოვი ისტორიაში შევიდა. ვანკუვერთან კვირის მატჩში „ზვიგენთა" მეკარემ მეტოქის ცარიელ კარში გაიტანა და ლიგის ისტორიაში ამის შემძლე დიდ ექვსეულს მიემატა. აი, ისინიც:

*ბილი სმიტი (აილენდერსი) — 1979, 28 ნოემბერი. კოლორადოსთან*
*რონ ჰექსტოლი (ფილადელფია) — 1987, 8 დეკემბერი. ბოსტონთან*
*1987, 11 აპრილი. ვაშინგტონთან*
*კრის ოსგუდი (დეტროიტი) — 1996, 6 მარტი. ჰარტფორდთან*
*მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) — 1997, 17 აპრილი. მონრეალთან*
*2000, 15 იანვარი. ფილადელფიასთან*
*დამიენ როუდსი (ოტავა) — 1999, 2 იანვარი. ნიუ ჯერსისთან*
*ჟოზე თეოდორი (მონრეალი) — 2001 წლის 2 იანვარი. აილენდერსთან*

როგორც ხედავთ, ყველა ცნობილი ხალხია. თანაც ორს, ჰექსტოლს და ბროდოს ორჯერ გაუტანიათ, ხოლო ბოლო 7 სეზონში ეს მეექვსედ მოხდა. თავად ნაბოკოვმა აღიარა, რომ ეს გოლი შემთხვევით გაიტანა. ჯერ შაიბის მიწოდება მინდოდა, მაგრამ დავინახე, რომ არც ერთი ჩვენიანი თავისუფალი არ იყო და მეტი რაღა დამრჩენოდა, თავად დავარტყიო, თქვა მატჩის გმირმა.



REUTERS

# ქალებმა ბუშს დაახურეს

12 მარტს პრეზიდენტ ჯორჯ ვ. ბუშს თეთრი სახლის აღმოსავლეთ ოთახში მიუღია ამერიკის შვიდი სხვადასხვა სახეობის ჩემპიონი გუნდები, ამათ შორის კი სანტა კლარას უნივერსიტეტის ფეხბურთელი გოგონები. სტუდენტური პირველობის ჩემპიონთა ვარსკვლავებს დენიელ სლეტონს და ელი ვაგნერს თავიანთი გუნდის სამოსი და ქუდი უჩუქებიათ პრეზიდენტისთვის.



REUTERS

# ადიდასი-რეტროდასი

„ადიდასის" ახალ სარეკლამო კამპანიას ჩვენთვის ნაცნობი გმირები ჰყავს. „ადიდასს" ძველჰოლივუდური ყაიდის სტილი აურჩევია, რომლის მიხედვითაც დევიდ ბექემი მთლად ჯეიმს დინივით შემოსკუპებულა მანქანაზე, ანა კურნიკოვას კი მეტროს გულიდან ამომავალი ჰაერის ნაკადისთვის შეუშვერია კაბა, რაც, თქმაც არ უნდა, მერილინ მონროს გვაგონებს. მთავარი კი „კლიმაქულის" ფეხსაცმელებია, რომელთაც თურმე ჩახურებული ფეხის განიავებაც კი ხელეწიფებათ.




REUTERS

# მალაიზია ელის



REUTERS

ახლოა მალაიზიის დიდი პრიზის გათამაშება და უკვე კუალა ლუმპურში ჩასულა მეფორმულეთა მთელი კოჰორტა. რალფ შუმახერი, „უილიამსის" გუნდის პილოტი ფორმულის დიდ მოყვარულთა ალყაში მოქცეულა, თავი შინაურულად უჭირავს და მხნედაც გამოიყურება წინა კვირაში ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებისას მომხდარი ავარიის მიუხედავად.



# მეათასე

„ნეშველ პრედატორზის" გენერალური მენეჯერი დევიდ პოლი და ნჰლ-ის უფროსი ვიცე პრეზიდენტი ჯიმ გრეგორი ნეშვილის ყინულზე გასულან, რათა პატივი მიეგოთ უბერებელი მოთამაშის, კლიფ რონინგისთვის, რომელსაც მეათასედ უთამაშია ლიგაში. კლიფს მთელი დარბაზი ფეხზე წამოუდგა და ოჯახობაც, ცოლი ივანა და შვილები პატარა ტი და ტერინი გახარებულნი დაურჩნენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი:
ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა ღოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge